ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 82
(11 948)

21 – 24 ოქტომბერი, 2005 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერში:

- ყველასათვის ნასაკითხი წერილი
- ქალთა ძიუდო გვიბრუნდება
- ხვალ ყველანი კუს ტბისკენ!
- კანონი და უფლებები
- ბეკენბაუერმა ყველაფერი შესძლო
- კრისტიან რონალდო შარში გაეხვია
- ლუისმა ძირეულად წააგო
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

„...არ ვიცი, მიგიქცევიათ თუ არა ყურადღება, რომ ქართველობა მოვბეზრდით დედამიწას ჩვენი უბადლო ცეკვებით, სიმღერებით, მუდმივი გამარჯვებებით და ყოველივე ამ ფენომენს შემპარავად გვისპობენ. მართლაც ძნელი წარმოსადგენია ერთი ბეწო ქვეყნის მოპაექრენი დედამიწას სჯაბნიდნენ.“

იხ. მე-2 გვ.

## ვიქტორ სანეევის საიუბილეო დღეები საქართველოში



მძლეოსნობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ვაჟთა შორის XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების მონაწილის და მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტის ვიქტორ სანეევის დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით 23-31 ოქტომბრის საიუბილეო დღეების პროგრამა:

**23.10.** შეხვედრა თბილისის აეროპორტში.

**24.10.** 15-15:45. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა და პრიზიორთა საფლავების მონახულება და გვირგვინებით შემკობა; 16-16:45. შეხვედრა სეოკ-ში; 17-17:45. მიღება კულტურისა და სპორტის სამინისტროში.

**25.10.** კულტურული პროგრამა.

**26.10.** 12-13:00. ვიქტორ სანეევის მასტერ კლასი ახალგაზრდა ათლეტებისთვის (ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი).

**27.10.** 11-12:00. შეხვედრა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში საქართველოს ოლიმპიური ფონდის მიერ ნონა გაფრინდაშვილის, ვიქტორ სანეევის და ლევან თედიაშვილის სახელობის სტიპენდიების დანიშვნასთან დაკავშირებით; 12:30-13:30. სეოკ-ის აფხაზეთის ორგანიზაციის პროგრამა.

**28.10.** 15-16:00. დევიზით: „ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ“ ბავშვთა ნახატების გამოფენა — კონკურსის გახსნა (ახვლედიანის სახ. ბავშვთა სამხატვრო გალერეა, შავთელის, 17ა).

**29.10.** 11-11:45. მონუმენტურ-დეკორატიული კომპოზიციის — „ოდა საქართველოს ოლიმპიელებს“ პროექტის პრეზენტაცია და ძეგლის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიალი (სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია); 12-14:30. მცხეთის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება; 15-15:30. ფოტოგამოფენის „ვ. სანეევი-60“ გახსნა (საგამოფენო დარბაზი „კოპალა“, ძმები ზუბალაშვილების, 7); 17-19:00. ვ. სანეევის დაბადების 60 წლის საიუბილეო საღამო (ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი); 20-20:00. უცხოეთის ქვეყნების ეოკ-ებსა და საქართველოს ეოკ-ს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერა (სეოკ-ის პრეზიდენტის რეზიდენცია, ბოჭორმის, 21); 20:30-22:30. ოფიციალური მიღება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სახელით (სეოკ-ის პრეზიდენტის რეზიდენცია).

**30.10.** 12-17:00. სპეციალური ღონისძიებების კომპლექსი რუსთაველის გამზირზე დევიზით: „ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის ვარსკვლავები — სტუმრად თბილისელებთან!“ 17-18:45. მასმედიის წარმომადგენლების შეხვედრა იუბილართან და საზღვარგარეთის ქვეყნების ეოკ-ების ხელმძღვანელებთან (სასტუმრო „თბილისი-მარიოტი“). ვახშამი კომპანია „ყაზბეგის“ სახელით.

**31.10.** სტუმართა გამგზავრება. ვ. სანეევის იუბილეზე თბილისში ჩამოვლენ საპატიო სტუმრები მსოფლიოს სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციებიდან.

## პირველად სპორტის აკადემიის ისტორიაში

„ლელოს“ წინა ნომერში ვწერდით, რომ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ამ პროფილის უმაღლეს სასწავლებლებს შორის კვლავ ფავორიტად რჩება. და აი, ამის კიდევ ერთი დადასტურება — გუშინწინ, სპორტის აკადემიაში კიევის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ეროვნული უნივერსიტეტიდან მოვიდა უკვე ხელმოწერილი დოკუმენტი საქართველოს და უკრაინის ამ ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულებას ხელს აწერენ ჩვენი აკადემიიდან რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი **დ. ჩიტაშვილი** და კიევის ზემოხსენებული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ვ. პლატონოვი.**

ხელშეკრულება ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში კოორდინაციას, სამეცნიერო და სამეცნიერო პრაქტიკული სემინარების, კონფერენციების, სიმპოზიუმების ჩატარებას, სამეცნიერო კრებულების ერთობლივ გამოცემას. ასეთი ურთიერთობის დამყარება პირველი შემთხვევაა ჩვენი აკადემიის ისტორიაში.

ხელშეკრულების საფუძველზე მალე ასპირანტთა და სტუდენტთა შვიდკაციანი ჯგუფი კიევში გაემგზავრება კვალიფიკაციის ამაღლების 12-დღიან კურსებზე. ჯგუფს პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე **კ. ხარიტონაშვილი** უხელმძღვანელებს.

სპორტის აკადემიის პირველი ჯგუფის კიევში გამგზავრებას მთლიანად საქართველოს სპორტის დეპარტამენტი დააფინანსებს.

„ლელო“ – „გუმათი“

## დღეს, ხვალ, ზეგ...

◆ **დღეს,** სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში, 11 საათზე საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე ფედერაციების ხელმძღვანელებთან მართავს შეხვედრას საქართველოში სპორტის სახეობების პროგრამულ განვითარებასთან დაკავშირებით.

◆ **დღესვე,** 15 საათზე, იმავე დარბაზში, სამბოში სალონიკში გამართულ მსოფლიო პირველობაზე საქართველოს ჭაბუკებისა და ახალგაზრდების წარმატებასთან დაკავშირებით ჩატარდება პრესკონფერენცია.

◆ **დღეს,** 12 საათზე, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართება პრესკონფერენცია. ჟურნალისტები ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ვიქტორ სანეევის თბილისში მისი დაბადებიდან 60 წლის იუბილეს გამართვასთან დაკავშირებით.

◆ **ხვალ,** 22 ნოემბერს, 10 საათზე, ბაგებში სტარტს აიღებს მასობრივი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით თბილისი — კუს ტბა — თბილისი. კუს ტბაზე ჩატარდება მასობრივი სპორტული და სალაღობოგასართობი თამაშობები.

◆ **ზეგ,** 23 ოქტომბერს სამშობლოში ჩამოვა ვიქტორ სანეევი. თვითმფრინავი, რომლითაც სანეევი მგზავრობს, თბილისის აეროპორტში დაეშვება 16 საათზე.

## ბევრი მედლით და იმედით სალონიკიდან



ჩვენი სამბოს ოსტატები, რომელ ასაკშიც უნდა გამოდიოდნენ საერთაშორისო სარბიელზე, შინ ყოველთვის საამაყო გამარჯვებებით ბრუნდებიან. ასე იყო ამჯერადაც. სალონიკში (საბერძნეთი) გამართულ მსოფლიო პირველობაზე ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის, საქართველოს წარგზავნილებმა ტრადიციულად შესანიშნავად იასპარეზეს, ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ უფროს თაობას ღირსეული შემცვლელები ეყოლება მომავალში.

ჭაბუკებში პირველი ადგილი არავის დაუთმეს ფოთელმა ნიკო კუციამ (75 კგ.) და ქარელელმა სოსო მსხალაძემ (87), მეორე პრიზიორები გახდნენ თბილისელი ლაშა ტვილდიანი (52), მარტყოფელი ბექა იმერლიშვილი (70), ბრინჯაოს მედალს დაეუფლნენ თბილისელი ლევან კოჩიევი (60) და კასპელი გივი ტატანაშვილი (მძიმე). გუნდურ პირველობაში ჩვენს ჭაბუკებს მეორე საპრიზო ადგილი ხვდათ წილად რუსეთის ნაკრების შემდეგ, მესამე ყაზახები იყვნენ.

ახალგაზრდებში ერთი გამარჯვებული გვყავს — დედოფლისწყაროელი ლევან წიკლაური (90), მესამე ადგილზე გავიდნენ ქუთაისელი გელა სანიკიძე (62) და გორელი დურმიშხან ბერუაშვილი (მძიმე). გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მხოლოდ V ადგილს და-

## ხელბურთელებმა ჩემპიონატი განაახლეს

განახლდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ვაჟ ხელბურთელთა შორის. გაიმართა II ტურის რამდენიმე მატჩი. თბილისი — მამული 41:20; შევარდენი — ქარიშხალა 29:23; თბილისი — ქარიშხალა 26:15; შევარდენი — მამული 33:21.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 6 | 6 | 0 | 0 | 204:143 | 12 |
| თბილისი | 6 | 3 | 0 | 3 | 178:132 | 6 |
| ქარიშხალა | 6 | 3 | 0 | 3 | 148:159 | 6 |
| მამული | 6 | 2 | 0 | 4 | 144:186 | 4 |
| თელავი | 4 | 0 | 0 | 4 | 98:152 | 0 |



გიორგი ბედოშვილი

## მადლობა განათლების და მეცნიერების სამინისტროს

1998 წლიდან მოყოლებული საქართველოში მოსწავლე მძლეოსანთა ისეთი შეჯიბრება არ ჩატარებულა, ქვეყნის მასშტაბს რომ მოიცავდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახლანდელმა ხელმძღვანელობამ წინამორბედთა უპასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე იმით გამოისყიდა, რომ წლეულს ერთბაშად სამი ასპარეზობა ჩაატარა – საზამთრო, საგაზაფხულო და საშემოდგომო. ეს უკანასკნელი გუშინწინ დასრულდა თბილისში 22 გუნდის მონაწილეობით ორ ჯგუფად.

I ჯგუფში პირველობა თბილისმა მოიპოვა 370 ქულით, მეორეა ახალციხე – 350, მესამე – ქუთაისი-307.

II ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა: 1. ჭიათურა-82, 2. ქარელი-79, 3. მარტვილი – 76. შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოდიოდა „დინამოს“ კლუბის წარმომადგენელი, სპორტის აკადემიის სტუდენტი გიორგი ბედოშვილი (დაბ. 1988 წ.), რომელმაც ბადრო 50,1 მ-ზე ტყორცნა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა... ჭაბუკთათვის (ფოტო რობერტ ბაგოიანისა).

## რა ჰქონან მოფარიკავეებმა?..

### რეალობა და შედეგი

ჩვენი მოფარიკავეები სულაც არ არიან მაღალი რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობით განებივრებულები, თუმცა, როცა შესაძლებლობა ეძლევათ, ყოველი ასპარეზობა მათთვის გამოცდილების მიღების დიდი სკოლაა. გამოცდილებასო ვამბობთ იმიტომ, რომ ქართული ფარიკაობის აწმყო და მომავალი ახალგაზრდა მუშკეტერებზეა დამოკიდებული. უპერსპექტივობამ უფროსი თაობა ნაადრევად ჩამოაშორა საფარიკაო ბილიკს.

ამ დღეებში ეროვნული ფედერაციის დაფინანსებით ქ. ლაიფციგში ჩვენი მოფარიკავეები მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. ცხადია, იმის ილუზია არავის ჰქონია, რომ ჩვენი იუნიორები თავისზე უფროს და გამოცდილ კოლეგებთან მაღალ შედეგს მიაღწევდნენ, მსოფლიოს 83 ქვეყნის რჩეულ ოსტატებთან პაექრობაში. ხმალში — **კახაბერ მაღრაძე, ზურაბ ბახსოლიანი, ირაკლი ზამბახიძე, დავით მთვარელიძე,** დაშნაში — **ჯემალ ჯიქია, დავით არველაძე, ანზორ ალბრეხტი, გიორგი სილაგაძე** და ერთიც — **ეკა დუნაშვილი** (საკუთარი ხარჯით) მონაწილეობდა საქართველოდან. სამმა ხმლით მოფარიკავემ, ერთმა გოგონამ დაშნაში და ერთმაც რაპირაში პირველი საფეხური გაიარა, შემდეგ კი მათაც მარცხი იწვნიეს, რაც სულაც არ არის ტრაგედია თუ, ცხადია, რეალობას გავითვალისწინებთ.



სწორედ რეალობამ განაპირობა ისიც, რომ გუნდურ შეჯიბრებაში დაშნაში მოპაექრენი განაწილდნენ წლის განმავლობაში ტურნირებში ნაჩვენები შედეგებით. ჩვენებს კი არანაირი მარაგი არ უმაგრებდა ზურგს. ჩვენების მეტოქე იყო ესტონეთის ნაკრები, რომელმაც შემდეგ ლამის რუსეთის გუნდს მოუგო. ყოველ შემთხვევაში, ძალიან გაურთულა საქმე. რუსები შემდეგ ჩემპიონები გახდნენ.

გარკვეული გამოცდილება, რა თქმა უნდა, ჩვენებმა ამ ჩემპიონატში შეიძინეს. თუ რა მისცა მათ კონკრეტულად ამ ასპარეზობამ, 1-6 ნოემბერს გამოჩნდება უნგრეთის ქალაქ ტოპოლკაში, სადაც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები უკვე თანატოლებთან ერთად იასპარეზებენ ევროპის ჩემპიონატში.

ცოტნე ბაქრაძე

## საქართველო ასეულშია

ფიფა-კოკა-კოლას ოქტომბრის რეიტინგში საქართველოს ეროვნული ნაკრები ზუსტად მე-100 ადგილზეა. ჩვენმა ნაკრებმა სეზონი 112-ე ადგილზე დაიწყო, შესარჩევი ტურნირის ბოლოს კი 12 საფეხურით წინ წაიწია, მაგრამ ეს ნაკლები ნუგეშია ქომაგთათვის. ჩვენი ყოფილი მეტოქეები ახალ რეიტინგში ასე განლაგდნენ: თურქეთი მე-11, საბერძნეთი მე-20, დანია მე-14, ალბანეთი 85-ე, ყაზახეთი 140-ე. შესარჩევი ეტაპის გამარჯვებულმა უკრაინამ კი საოცარი ნახტომი გააკეთა, ერთი წლის განმავლობაში, რეიტინგში ერთბაშად 48 საფეხურით აღზევდა და ახლა 39-ე ადგილზეა. რეიტინგს კი ტრადიციულად ბრაზილია ლიდერობს.

სანაკრებო სეზონს საქართველოს ეროვნული გუნდი ნოემბერში დახურავს. თბილისში იორდანიის ეროვნული ნაკრების სტუმრობაა დაგეგმილი და სეზონისა და წლის ბოლოს, ერთი საერთაშორისო ამხანაგური მატჩის მოწმენიც გავხდებით — ჩვენთან თამაშის სურვილი გამოთქვა ბულგარეთმა და ლატვიამ.

## ურუგვაელები და ჩილელები თბილისში ჩამოვლენ

6 და 12 ნოემბერს თბილისს დიდი რაგბი ეწვევა. საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ამხანაგურად გაეჯიბრება ურუგვაელებსა და ჩილელებს. „ბორჯღალოსნები“ 1 ნოემბრიდან უძლიერესი შემადგენლობით მოემზადებიან სამხრეთამერიკელ მორაგბეებთან შესახვედრად. ყველაზე მნიშვნელოვანი ურუგვაელებთან 6 ნოემბერს დანიშნული შეხვედრაა – ქართველებს დღესაც ახსოვთ ამ გუნდთან პრინციპულ მატჩში მარცხი და რევანშის აღებას შეეცდებიან.

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

### კრისტიან ციგე ფეხბურთიდან წავიდა

გერმანიის ნაკრებისა და „მიონხენგლადბახის“ მოთამაშემ კრისტიან ციგემ გადაწყვიტა დაასრულოს თავისი კარიერა. ამის მიზეზი იყო ფეხის მძიმე ტრავმა. ფეხბურთიდან წასვლის თაობაზე ოფიციალური განცხადება 33 წლის ციგემ გუშინ გააკეთა. ეს ფეხბურთელი თავის დროზე იცავდა მიუნხენის „ბაიერნის“, „მილანის“, „მიდლბროს“, „ტოტენჰემისა“ და „ლივერპულის“ ღირსებას. გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში 72 მატჩი ჩაატარა. ამ გუნდთან ერთად 1996 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა.

## გუშინ, უეფას თასზე

„მაკაბი“ (ისრაელი) — „პალერმო“ (იტალია) 1-2
„ჰალმშტადი“ (შვედეთი) — „ჰერტა“ (გერმანია) 0-1
„ვიკინგი“ (ნორვეგია) — „მონაკო“ (საფრანგეთი) 1-0
ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — „მარსელი“ (საფრანგეთი) 1-2
„შახტარი“ (უკრაინა) — პაოკი (საბერძნეთი) 1-0
„ზენიტი“ (რუსეთი) — „გიმარაეში“ (პორტუგალია). 2-1

# უსამართო, მაგრამ ყველასათვის ნასაკითხი წერილი

მართალი გითხრათ, მე რომ ჯავრი მაწუხებს, ვის უნდა გავუზიარო, არ ვიცი, განათლების სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტს, ჭადრაკის ფედერაციას თუ კიდევ სხვა ვინმეს, რადგან არ ვიცი რა კავშირი აქვს სპორტის დეპარტამენტს განათლების სამინისტროსთან.

ვწერ ალალბედზე, იქნებ სადმე, საქმიან გარემოში მოხვდეს ჩემი საწუხარი.

ახლახან მოვკარი ყური, რომ ჭადრაკშიც დოპინგის კონტროლი დაუნიშნავთ, გამარჯვებულთათვის! სრულიად დარწმუნებული მოგახსენებთ, დიდებული ღონისძიებაა, მაგრამ მეტად არასაკმარისი.

გავიხსენოთ, მგონი უკანასკნელი ჯგუფური შერკინება იყო, როცა ქალთა ჯგუფმა ზედიზედ წაუგებლად მოიგო ათი თუ თორმეტი შეხვედრა, დანარჩენი ოთხი პარტია კი წაგებით დაასრულეს, თუ ... დაასრულებინეს.

არ მსმენია, რომ ამგვარი რამ სადმე მომხდარიყოს. ტელეფონით შევაწუხე ქალბატონი ნონა, მინდოდა მეთქვა, რომ ყველა ჩვენი მონაწილე მონუსხული იყო, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ — ჰიპნოზირებული, როცა ადამიანი ვერ აგნებს საქმეს.

— ჭადრაკში ყველაფერი ხდება! — მითხრა ქალბატონმა **ნონამ** და საუბარი ამით დამთავრდა.

ცოტა ძველი ამბავიც გავიხსენოთ. სახელდობრ, ის უსიამოვნება, როდესაც ქალბატონმა **მაია ჩიბურდანიძემ** დაკარგა თუ დააკარგვინეს მსოფლიო ჩემპიონობა.

გამახსენდა ჩემი ურთიერთობა ჰიპნოზიორებთან. მე, ჩემი უხმო კარნახით ვაკეთებინებდი იმას, რაც მომესურვებოდა. ერთხელ, დაეჭვებულმა მაყურებელმა დარბაზის გარეთ გამიყვანა — აქედან უკარნახეო. რთული საკითხი ავირჩიე: „თქვენი ოსტატობა ხელოვნებაა თუ მეცნიერება?“

ჰიპნოზიორმა ჩაკეტილ კარს იქით გაუმეორა ჩემი კითხვა დამსწრეთ. შევაღე კარი და მიპასუხა — ორივეო.

მაშინ გამახსენდა ქალბატონ მაიას სამარცხვინო წაგება ჩინელთან. მგონი მეორე დღეს მაიამ გაკვირვებულმა შემოგვხედა ტელევიზორის ეკრანიდან და იკითხა: „ნუთუ ეს სვლები მე გავაკეთე“? — თუ ის პარტია შენახულია, კარგი იქნება ტელევიზიით წარმოგვიდგინონ განმარტებითურთ. მაშინ გამოჩნდება, რომ ჩვენს მაიას სვლებს უსირცხვილოდ აძალებდნენ, პარტიის მსვლელობისას მაია დაბნეული ჩანდა. იმ სვლებს დამწყები მოჭადრაკეც არ გააკეთებს.

ამდენად, კატეგორიულად მიმაჩნია, რომ შემოწმება უნდა ჩაუტარდეს პარტიის ორივე მონაწილეს, რადგან გარდა დოპინგისა, არის ანტიდოპინგიც, რომელიც ასუსტებს მონაწილეს, სრულიად უბრალოდ, საჭმლით, „მირთმეული“ შოკოლადით, როგორც დაასუსტეს ჩვენი ვაჟკაცი **კურტანიძე** — და სხვა მონაწილენი სხვადასხვა შეჯიბრებაზე.

რა მოვუხერხოთ ჰიპნოზიორებს?

ალბათ, მხოლოდ ერთი რამით შევძლებთ მოწინააღმდეგე ჰიპნოზიორის გაუვნებელყოფას, რაშიც მე მაინცდამაინც ვერ ვერკვევი.

როდესაც საქმე იქამდე მიდის, რომ ქართველ მოკრივეს უსირცხვილოდ წააგებინებენ შეხვედრას, ცნობილ ძლიერ მოჭადრაკეს თავში უტიფრად ურტყამენ მუშტებს დასარეტიანებლად, იქ სხვა ყველაფერიც შეიძლება მოხდეს.

შესაძლოა იმ მოთხოვნამდეც მივიდეთ, ცხადია, იძულებით, რომ მოჭადრაკენი არ ისხდნენ საერთო დარბაზში მაყურებლის წინაშე, სადემონსტრაციო დაფაც გაუქმდეს და მხოლოდ პარტიის დასრულების შემდეგ წარუდგინონ დაინტერესებულ პიროვნებებს პარტიის მსვლელობა და შედეგი.

თავნებობას საზღვარი არ აქვს. არც ბერძნებს, არც რომაელებს არ ჰქონიათ ჰიდაობა „ბერძნულ-რომაული“ რომ შეარქვეს. ბერძნებმა ჰიდაობა ქართველებისგან ისწავლეს (დავუკვირდეთ, მსოფლიოს არც ერთ ენაზე ელადელებს, იგივ გრეკებს, ეთნოსახელი „ბერძენი“ = ი-ბერ-ძენი = იბერთაძენი ქართველების გარდა არ შეურქმევიათ. ამაზე შემდგომ და სხვა დროს). რაც შეეხება რომაელებს, მათ ჰიდაობა (საერთოდ, ჰიდაობა) არ ჰქონიათ. სპორტის ეს სახეობა მათ გადაიღეს ქართველთა უშორეულესი წინაპრებისგან, რომელთა სახელი იყო ტუსკა (იგივ ეტრუსკი, დღევანდელი ეტრურია, მომდინარე იმავ სახელისაგან ტუსკა. შდრ. ტუსკა-ძე ტუსკ-ია. ამაზეც შემდგომ).

ამ უტიფრობის ჩამდენნი დღესაც არ იშლიან ოინბაზობას და ქართველ სპორტსმენებს, ვინც საქართველოს სახელით არ გამოდის, ნაირ-ნაირ ოპუსებს უწყობენ, თორემ სად გაგონილა შვიდ ქართველ მოჭიდავეთაგან ვერც ერთი ვერ დაეუფლოს მე-3 ადგილსაც კი. აკონტროლებს ვინმე, რას აჭმევენ ჩვენს სპორტსმენებს, ჰყავთ კი საკუთარი მზარეული? მგონი ყველაფერი ვთქვი, რაც გულს მისერავდა.

დანარჩენი თქვენ იცით.



გადაჭარბებად ნუ ჩამითვლით. „ამირანი“ ეპოსია, მაგრამ ზღაპრად გაფორმებულ სინამდვილეზე დაფუძნებული. ამირანი დამძიმდა, იმისი მომრევი აღარავინ იყო ქვეყანაზე. ამოწყვიტა, რაც დევები იყო. დადგა ჯერი ღმერთთან შეჭიდებისა. ღმერთმა ჭიდაობის წესები არაფრად ჩააგდო. მიწაში ჩაასო პალო, რომელმაც დედამიწაში ფესვები გაიდგა. ეს იყო ღმერთის დოპინგი. რა იცოდა მიამიტმა ამირანმა რა ფანდს უმზადებდნენ. ამას ახალი სასჯელი მოჰყვა — ღმერთმა ამირანი კავკასიონის ერთ დიდ კლდეზე მიაჯაჭვა და თავი გამარჯვებულად სცნო.

როგორც ვხედავთ, ადრეც ყოფილა დოპინგი, ოღონდ, უფრო დაუნდობელი, ჭიდაობის ოდითგან დადგენილი წესის ხელაღებით დამრღვევი. დანარჩენი თქვენც კარგად იცით. ოღონდ არ ვიცი, მიგიქცევიათ თუ არა ყურადღება, რომ ქართველობა მოვბეზრდით დედამიწას ჩვენი უბადლო ცეკვებით, სიმღერებით, მუდმივი გამარჯვებებით და ყოველივე ამ ფენომენს შემპარავად გვისპობენ.

მართლაც ძნელი წარმოსადგენია — ერთი ბეწო ქვეყნის მოპაექრენი დედამიწას სჯაბნიდნენ.

აბა ვინ დაუთმობდა ჩვენს მაიკოს მსოფლიოს მე-6 ჩემპიონობას?! და ამ წარმატებებს ანტიდოპინგით და ჰიპნოზით უპირებენ მოსპობას.

სად გაგონილა, გუნდი შეჯიბრებაზე განგებ დააგვიანონ და ეს წაგების მიზეზად გამოიყენონ, მოწინააღმდეგეს ხელის ყოველი გაქნევა დარტყმად ჩაუთვალონ, რათა ბერძენ მოკრივეს ოქროს მედლისკენ გაუკაფონ გზა, ორი მომგებიანი ქულის აღების შემდეგ მორკენალი ისე დაასუსტო, რომ წაგებამდე მიიყვანო? და სხვ...

აი, ესაა ანტიდოპინგი და ჰიპნოზი, მოწინააღმდეგის შეუმჩნეველი დასუსტება!

რა ბედენაა მარტო გამარჯვებულს თუ შეუმოწმებთ დოპინგს, დამარცხებულს კი, ანტიდოპინგირებულს, შეუმოწმებელს დატოვებთ?

ასე მოსდეს ელინებმა ქვეყანას თავიანთი „გმირობა“, როცა „გმირი“ ამირანს ამოუყენეს გვერდით კავკასიონზე! ბერძნებს სჩვევიათ, არც ახლა აკლებენ ხელს სხვისი ხელით ნარის გლეჯას.

რა? „თავიანთ“ მიწაზე მწვერვალი თუ არა, გორაც არსად ჰქონდათ?!

ესეც ერთი ოინბაზობაა გამარჯვების მსურველისა და ვერ შემძლებისა.

მხდალისა გეშინოდეს და უფრთხილდებოდე! მათგან კაცობის დამამცირებელი ყველა უსირცხვილობაა მოსალოდნელი.

**გიორგი ჯინჭარაძე**

# გოგონები თავს კიმონოშიც იწონებენ...

**საქართველოში ერთხელ უკვე კარგად დავიწყებული ქალთა ძიუდო მეორე სიცოცხლეს იწყებს და მის სათავესთან, ისევე, როგორც დაახლოებით ამ მეოთხედი საუკუნის წინათ, კვლავ დაუღალავი ენთუზიასტი, შესანიშნავი სპეციალისტი გოდერძი ველიჯანაშვილი დგას. საქართველოს ქალთა ნაკრები მისი ხელმძღვანელობით და მოწვეული ასისტენტის ლიტველი პიოტრ პონომარიოვის ხელმძღვანელობით ბოლნისში ემზადება ამ თვის ბოლოს დაგეგმილი ტურნირისთვის. ეს ასპარეზობა საერთაშორისო ჟღერადობისაა და საქართველოს „პრეზიდენტის თასი“ გათამაშდება. ტურნირის გამართვა, ისევე, როგორც საერთოდ, ქალთა ძიუდოს აღორძინება საქართველოში, ბადრი პატარკაციშვილის დამსახურებაა.**

**თბილისში გაჩნდა ძიუდოს გოგონათა ჯგუფებიც. განსაკუთრებით აქტიურობს ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრი. პირველი შედეგები უკვე გამოჩნდა. ამ დღეებში ერევანში გაიმართა საერთაშორისო**



**ტურნირი ჭაბუკთა და გოგონების მონაწილეობით. საქართველოდან 14-15 წლის გოგონები გავიდნენ სარბიელზე.**

**48 კგ. წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი ხვდათ წილად სოფო როსტომაშვილს და თამუნა ბიჩინაშვილს. 52 კგ-ში კვარცხლბეკზე მხოლოდ ჩვენები ავიდნენ – ოქროს მედალი დაიმსახურა ნია ვეშაგურმა, ვერცხლის – ანი ავაქიანმა, ბრინჯაოსი – ნელი ხოშტარიამ. 57 კგ. წონით კატეგორიაში მესამე იყო თამარ ჯინჭარაძე. ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონაში კი საქართველოს ნაკრების ლიდერმა თინათინ ქულუსაშვილმა არავის დაუთმო პირველობა. იმავე წონაში მესამე იყო ინგა ალანია. ჩვენი გოგონების წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს მწვრთნელებმა ლუდმილა ფერაძემ, დავით მიხელაძემ, ვახტანგ ხარხელაურმა. მწვრთნელები მადლობას უხდიან სომხეთის საელჩოს საქართველოში ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში გაწეული დახმარებისათვის.**

**ლელა ბებია.**

**სურათზე: გამარჯვებულები და პრიზიორები (ფოტო რობერტ ბაგოიანისა)**


დაიწყო „ლელოზე“ ხელმოწერა 2006 წლისათვის

3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი
ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესს“, „მაცნეს“, „ინფოსერვისს“, „უწყებანს“


# მეთერთმეტე...

*ქართული სპორტის ისტორიას სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტის უჩინარი მსახურნი და ამ სფეროს თავკაცები ერთობლივად წერენ. „ლელო“ კი 1934 წლიდან აფიქსირებს ამ ისტორიას. ასე იქნება მომავალშიც.*

*ამჯერად გამოსაცემად მზადდება წიგნი „მეთერთმეტე“... რომლის ცალკეული თავების გამოქვეყნებას „ლელოში“ ვაგრძელებთ.*

## ერთად დგომა ოლიმპიადის წინ

2004 წლის დასაწყისიდან ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ბიუჯეტი ათენამდე შვიდი თვით ადრე დამტკიცებული ჯერ კიდევ არ იყო, მაგრამ პასუხისმგებლობა გათავისებული ჰქონდა ხელისუფლებას. მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, ბიუჯეტის დამტკიცებამდე, ავანსად გაეწია ფინანსური დახმარება, შემწეობა, ცხადია, დაგვიანებული იყო, მაგრამ მაინც ბევრს ნიშნავდა. „ზემოთ“ ყველა მიხვდა, რომ ოლიმპიური თამაშები არ მოიცდიდა.

თამაშებისთვის მზადებაში შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღო ოლიმპიურმა ფონდმა. ყველა ხარჯებს ბიუჯეტიდან დაფინანსებამდე, ის ეწეოდა. ფონდს ეს დახმარება, ცხადია, არც შემდეგ შეუწყვეტია, ბიუჯეტი მხოლოდ წაეშველა. ირაკლი მეძმარიაშვილს არაერთხელ გამოუთქვამს საჯაროდ მადლობა ოლიმპიური ფონდისა და მისი ხელმძღვანელის ბადრი პატარკაციშვილის მისამართით ესოდენ სოლიდური ფინანსური დახმარებისთვის.

მთავრობის მხრიდან დამატებითი დაფინანსების წყალობით ოლიმპიადისთვის მზადება უფრო მასშტაბური და სრულფასოვანი გახდა. ამ დროისთვის, ანუ 2004 წლის პირველი კვარტლის მიწურულს, საქართველოს ათლეტების ანგარიშზე უკვე დაძაბულ სპორტულ პაექრობებში ღირსეულად მოპოვებული 28 ოლიმპიური ლიცენზია იყო. მონაპოვრის გაზრდის შანსები კიდევ რჩებოდა, რაც ჩვენმა სპორტსმენებმა და მათმა მწვრთნელებმა, ფუნქციონერების თანადგომით, მაქსიმალურად გამოიყენეს.

იმათ შორის, ვისაც ამ პერიოდისთვის ათენის საგზური მოპოვებული ჯერ კიდევ არ ჰქონდა, იყო ძალოსანი გიორგი ასანიძე. მისი ბედი ევროპის ჩემპიონატზე უნდა გადაწყვეტილიყო კიევში. ჩვენმა სახელოვანმა ათლეტმა ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა. დანარჩენზე შემდეგ ვილაპარაკებთ.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ მთელი ყურადღება გადატანილი იყო მხოლოდ 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაზე. ხელისუფლების სათავეში ახალი მმართველების მოსვლამ ქვეყნის სპორტული ცხოვრების რიტმი უფრო გააქტიურა. სულ მალე გამოიკვეთა, რომ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც 2004 წლის 4 იანვარს საქართველომ თავის პრეზიდენტად აირჩია, სპორტის სოციალური, გნებავთ, პოლიტიკური ფუნქციის მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევდა. ამან იმედიანი ოპტიმიზმი ჩაუსახა უპირველესად სასიკეთო გარდაქმნების მოლოდინში გადაღლილ და თითქმის სასოწარკვეთამდე მისულ დარგის სპეციალისტებს. ბევრი იმ მძიმე წლებში სპორტს საერთოდ ჩამოშორდა, მაგრამ უმრავლესობა დარჩა და თითოეულმა მართლაც რომ უდიდესი როლი ითამაშა ქართული სპორტული ტრადიციების და იმიჯის შენარჩუნებაში. ისინი ნამდვილი გმირები არიან, მათი ღვაწლის დაფასება დროის კონკრეტულ ჩარჩოებში არ უნდა მოექცეს.

რიტმი ვახსენეთ. მხოლოდ მაღალი მიღწევების სპორტზე არ არის ლაპარაკი. ის სასიკეთო გარდაქმნები, რომელიც ქვეყანაში დაიწყო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, შეეხო მასობრივ სპორტსაც, ანუ დევიზი: „სპორტი—ყველასათვის!“ იქცა სამოქმედო პროგრამად. „ცხოვრების ჯანსაღი წესის“ დასამკვიდრებლად პირველი სოლიდური ნაბიჯები, სწორედ ამ დევიზის რეალიზაციით დაიწყო და წარმოუდგენლად სწრაფად იქცა საერთო-სახალხო მოძრაობად. კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ამ საყოველთაობას ქვეყნის პრეზიდენტის პოზიციამ მისცა სტიმული.

ბევრს ეგონა, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პროცესში სპორტის იმ სახეობისადმი, რომელთა წარმომადგენლებმაც ათენში მოხვედრის შანსი დაკარგეს, აგრეთვე არაოლიმპიური სახეობებისადმი ყურადღება შენელდებოდა. ეს ვარაუდი არ გამართლდა. ერთიან პროცესად მოიაზრებოდა ქართული სპორტული მოძრაობა. იმავე 2004 წელს, ვიდრე ჩვენი ოლიმპიური დელეგაცია ათენში გაემგზავრებოდა, ჩვენმა ცალკეულმა სპორტსმენებმა და გუნდებმა, სპორტის არაერთ არაოლიმპიურ სახეობაში იასპარეზეს როგორც შინ, ისე საერთაშორისო სარბიელზე. ირაკლი მეძმარიაშვილის მისალებში მუდამ ტრიალებდნენ ათენის მიღმა დარჩენილი ოლიმპიური სახეობების თუ არაოლიმპიური სპორტის წარმომადგენლები. თანამშრომლებთან თათბირებზეც კი არასდროს უთქვამს თავმჯდომარეს, რომ წინ ოლიმპიადაა და ვიდრე ათენში თამაშები არ დასრულდებოდა, სხვა ყველაფერი უკანა პლანზე გადაიწევდა. ფრენბურთელმა ქალებმა, მაგალითად, 2004 წლის მაისში, ევროპის შესარჩევი მატჩები ჩაატარეს თბილისში, ასევე ვუმასპინძლეთ ჩოგბურთში ეგვიპტესთან დევისის თასის მატჩს. შემდეგ იყო კალათბურთელთა საკვალიფიკაციო მატჩები შინ და გარეთ, საჭადრაკო ოლიმპიადა, სხვა მეტ-ნაკლები მნიშვნელობების შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. წინა წლებთან შედარებით 2003 წლის სპორტული მონაგარი აშკარად შთამბეჭდავი იყო. საქართველოს ათლეტებმა მაღალი რანგის ასპარეზობებში 128 მედალი მოიპოვეს. აქედან ოქროსი იყო — 35, ვერცხლისა — 44, ბრინჯაოსი — 49. ეს იძლეოდა ათენში წარმატებით გამოსვლის ოპტიმიზმის საფუძველს.

ოლიმპიადის წინა წლის შედეგები საზეიმოდ შეჯამდა. სიმბოლური იყო და დიდ ქველმოქმედ წინაპართან შეხმიანების შთაბეჭდილებით ჩაიარა ამ საზეიმო ღონისძიებამ რესტორან „სარაჯიშვილში“. სიმბოლური ისიც იყო, რომ ქართული სპორტის მიღწევების დაფასება და მომავალში ერთად ყოფნის იმედის სურვილით, იმ დღესასწაულის დაფინანსება, ირაკლი მეძმარიაშვილის დიდი ძალისხმევით, თავის თავზე აიღეს სპონსორებმა — ბანკებმა „ქართუმ“, „გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა“, „კრედიტბანკმა“ მსოფლიოს სავაჭრო კორპორაციამ, სასტუმრო „აჭარამ“, სააქციო საზოგადოება „ქართულმა შაქარმა“, კომპანია „ყაზბეგმა“, ტელეკომპანია „მზემ“...

ორ ათეულ ნომინაციაში გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ საუკეთესონი. სპორტსმენთა შორის — ზვიად ჩინჩალაძე (სამბო), ილია ზედგენიძე (რაგბი), ზურაბ აზმაიფარაშვილი (ჭადრაკი), ზურაბ ზვიადაური, ნესტორ ხერგიანი, დავით მარგოშვილი, რამაზ ჩოჩიშვილი (ყველა — ძიუდო), ირაკლი ლაბაძე (ჩოგბურთი), ლევან გორელაშვილი (კარატე), ხათუნა ნარიმანიძე (მშვილდოსნობა), ლევან ებანოიძე (სუმო), მამუკა ტუღუში (მძლეოსნობა); სამბოს, სუმოს, რაგბის, ჩოგბურთის, მშვილდოსნობის, მძლეოსნობის, ჭადრაკის ფედერაციები. „ოლიმპიური იმედი“ — საქართველოს წყალბურთელთა გუნდი, „2003 წლის აღმოჩენა“ — ქრისტინა ესებუა (მშვილდოსნობა); მწვრთნელები — ბეგი დარჩია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ზაზა თურმანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), შოთა ხაბარელი (ძიუდო), გივი ბოსტოღანაშვილი, ვახტანგ სალუქვაძე (ორივე — ტყვიის სროლა); მსაჯი — ზაზა მაჩალაძე (კალათბურთი), 2004 წლის ოლიმპიადის პირველი ლიცენზიატი — ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), „2003 წლის საუკეთესო ლეგიონერი“ — კახი კალაძე, „2003 წლის საუკეთესო მეცენატი“ — ბადრი პატარკაციშვილი, „საუკეთესო სპონსორი“ — გოჩა ძასოხოვი, „საუკეთესო მოჭიდავეები“ — ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ალექსი დავითაშვილი (ქართული ჭიდაობა); ფულადი ჯილდოები გადაეცათ აგრეთვე რამაზ ნოზაძეს, მუხრან ვახტანგაძეს (ორივე — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), რევაზ მინდორაშვილს და ალექსი მოდებაძეს (ორივე — თავისუფალი ჭიდაობა).

ამ შეკრებაზე ელდარ კურტანიძეს ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის, გოჩა ძასოხოვს მესამე ხარისხის, ამასთან, ორივე მათგანს და მანუჩარ კვირკველიას „სპორტის რაინდის“ ორდენები გადაეცათ.

**თენგიზ გაჩეჩილაძე.**

გაგრძელება იქნება.

დასაწყისი იხ. „ლელო“ №67-80.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №28 (42) სექტემბერი, 2005 წელი


# ქართული კარატეს ტრიუმფი მსოფლიო ჩემპიონატზე



## საქართველოს ნაკრები:

ლევან გორელაშვილი
ალეკო ჟამურაშვილი
ირაკლი ტყებუჩავა
დათო ტყებუჩავა
თემურ ხოხაშვილი
გიორგი მაჩაბელი
ზურაბ ბლიაძე
გიორგი გულიაშვილი

თანამედროვე კარატესა და შოტოკან კარატე-დოს ფუძემდებელს გიჩინ ფუნაკოშს რიგით მეცამეტე ხსოვნის ტურნირი მიუძღვნეს. ჩემპიონატი ამჯერად გერმანიის ქალაქ ჰალეში გაიმართა, სადაც 25 ქვეყნის ეროვნული ნომერ პირველი ნაკრები გუნდები ასპარეზობდნენ. ორგანიზატორები და ქალაქ ჰალეს ხელმძღვანელობა ფუნაკოშისადმი მიძღვნილ ჩემპიონატს ერთი წლის განმავლობაში ამზადებდნენ, რაც ღონისძიების მაღალ დონეზეც ნათლად აისახა. ტურნირზე ორგანიზატორების უმთავრესი ჩანაფიქრიც განხორციელდა – ტრადიციული კარატეს ფილოსოფიის, ფიზიკურ-სულიერი მომზადებისა და მისი დანიშნულება უჩვენეს კიდევ ერთხელ კარატეს მოყვარულებსა დამ ის მიმდევრებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლეგენდარული ოსტატის მემორიალურ ჩემპიონატზე გუნდებს მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაცია განსაკუთრებულად არჩევს: გუნდი უნდა იყოს მაღალი კლასის კარატისტებით დაკომპლექტებული, რომლებიც არაერთხელ არიან ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებული.



ჩემპიონატის პირველ დღეს ინდივიდუალურ კუმიტეში ხუთმა წონით კატეგორიამ იასპარეზა და ქართული კარატეს წარმატება შოკის მომგვრელი აღმოჩნდა, – ორი ფინალი ქართული შედგა! – 70 და + 70 კილოგრამ წონით კატეგორიებში. – 70 კილოგრამ წინით კატეგორიის ფინალისტები ირაკლი ტყებუჩავა და ლევან გორელაშვილი იყვნენ, რომელი ორთაბრძოლაც ირაკლი ტყებუჩავას გამარჯვებით დასრულდა. ხოლო + 70-ში კი თემურ ხოხაშვილმა და ალეკო ჟამურაშვილმა უჩვენეს ქართული კარატეს მაღალი კლასი და ნამდვილი ფინალური ორთაბრძოლა, რომელშიც თემურ ხოხაშვილმა იმარჯვა. ასე რომ, ორივე ფინალი საქართველოს სასახელოდ დასრულდა და ორი ოქრო და ორიც ვერცხლი თბილისში ჩამოვიდა.

არც მეორე დღე აღმოჩნდა ქართველი კარტისტებისთვის უიღბლო. ყველაზე პრესტიჟულ ორთაბრძოლებში, – გუნდურებში ნამდვილი ტრიუმფატორი იყო. სხვათა შორის, საქართველოს გუნდი ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. ჩვენი გუნდი ერთერთ ყველაზე ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდა, რომელიც წარმატებულდ გაიარა, საერთო, მშრალი ანგარიშით დაამარცხა 5:0. მეორე, ფინალში გადასასვლელი წრეში იტალიის, რუმინეთის, პოლონეთის და საფრანგეთის გუნდები საერთო ანგარიშით 3:2 დაამარცხეს. ასევე საინტერესო ორთაბრძოლები გაიმართა რუმინეთისა და იაპონიის



ეროვნული ბიბლიოთეკა

გენდებს შორის. ამ უთანასწორო ბრძოლაში რუმინეთმა დაამარცხა იაპონური კარატეს ერთერთი თვალსაჩინო ნაკრები. თუმცა არანაკლებ საინტერესო და დაძაბული, ოსტატობის უმაღლესი დონით გაიმართა რუმინულ-ქართული ნაკრების შერკინება. ამ ორთაბრძოლის დროს მაყურებლის დიდი სიმპატია და მხარდაჭერა – ჯორჯიას შეძახილები, ქართველებმა გერმანიაშიც მოიპოვეს, რამაც გარკვეულწილად ჩვენს გამარჯვებასაც შეუწყო ხელი. მსაჯთა არაობიექტურობისა და რუმინელების მიმართ მიკერძოების წყალობით ლამის გუნდური პირველობა დაკარგა ქართულმა ნაკრებმა. მაგრამ იაპონიის შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტის, 8-ე დანის მფლობელმა სენსეი მიაკის ობიექტური შეფასებისა და გადაწყვეტილების შედეგად გამარჯვება საქართველოს ნაკრებს დარჩა და კიდევ ერთხელ აფრიალდა ქართული დროშა და აჟღერდა საქართველოს ჰიმნი.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გამართულ ოფიციალურ წვეულებაზე საქართველოს ნაკრები გუნდი ერთერთი პოპულარული აღმოჩნდა, რომლებთანაც სურათების გადაღება მსოფლიოს წამყვანმა გუნდებმაც კი ისურვეს. ხოლო საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, კახა ბასილია მიწვევებს იღებდა სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებზე ასპარეზობისათვის, რომელ ჩემპიონატებზე გამგზავრებას თავად მასპინძლები აიღებენ საკუთარ თავზე.











## გერმანიაში კიდევ ერთხელ საუკეთესოდ იასპარეზეს

საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ თავისი უზომოდ გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად 15-16 ოქტომბერს კიდევ ერთხელ იასპარეზა გერმანიაში მიუნხენის ღია ჩემპიონატზე. უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატი ერთერთი პრესტიჟულია და მოსაგებად არც თუ ისე ადვილი. ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ განაცხადა, რომ იგი ძალიან კმაყოფილია მიღწეული შედეგებით, – ‘მე კმაყოფილი ვარ ამ ჩემპიონატის შედეგებით მინდა მადლობა გადავუხადო სპორტსმენებს, რათა მათ კიდევ ერთხელ ასახელე საქართველო და ქართული კარატე. ესენი არიან ლევან გორელაშვილი და ირაკლი ტყებუჩავა. გორელაშვილმაც და ტყებუჩავამაც პირველი ადგილები დაიკავეს. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ნამგალაურს და ყველა იმ სპონსორს, რომლებმაც ხელი შეგვიწყეს წარმატების მიღწევაში“.





## 14 მედალი ევროპის ჩემპიონატიდან

გერმანიის ჩემპიონატამდე კი ქართველმა კარატისტებმა სტამბულში ევროპის ჩემპიონატი მოიარეს და 14 სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვეს. როგორც საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ გვაცნობა სტამბულის ევროპის ჩემპიონატზე ყველა წამყვანი ქვეყნის სპორტსმენი ასპარეზობდა, – 30-მდე ქვეყანა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ქართველმა კარატისტებმა მესამე ადგილი დაიკავეს, რაც საკმაოდ კარგ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

ამ დიდი და ტრიუმფალური გამარჯვებების შემდეგ საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ სპორტკაფეში პრესკონფერენცია გამართა სპორტის დეპარტამენტთან ერთად, სადაც დავით ნამგალაურმა ქართველი კარატისტების წარმატება კიდევ ერთ უმაღლეს მიღწევად შეაფასა და შემდეგი წარმატებებიც უსურვა. ფედერაციის პრეზიდენტმა, კახა ბასილიამაც დადებითად შეაფასა და კარატეს ქართველი გულშემატკივრებს კიდევ უფრო დიდ შედეგებს შეპირდა. ‘ეს კიდევ არაფერია, ჩვენ, ქართულ კარატეს დიდი მომავალი ჯერ კიდევ წინ გვაქვს და ვიმედოვნებთ, რომ სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით და ასეთი მჭიდრო თანამშრომლობით ქართულ კარატეს უამრავი წარმატება ელის“ – განაცხადა კახა ბასილიამ.

პრესკონფერენციის დასასრულს კი კახა ბასილიამ სამომავლო გეგმები მიაწოდა კარატეს გულშემატკივრებს. 23 ოქტომბერს გორში საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. ხოლო დეკემბრის თვეში ჯერ იტალიაში მოსინჯავს მსოფლიო ჩემპიონატს, შემდეგ კი ლონდონის ღია ჩემპიონატზე იასპარეზებს. 16 დეკემბერს კი საქართველოს კიდევ ერთხელ ეწვევა მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფინსტრუქტორი, მერვე დანის მფლობელი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ჰიტოში კასუია, რომელიც ჯერ საერთაშორისო სემინარებს გამართავს, შემდეგ კი საერთაშორისო ტურნირის, კავკასიის თასის მთავარ მსაჯად მოგვევლინება.

ნუგზარ ქიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი


## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

空手道

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.


მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# ვიმოქმედოთ მხოლოდ კანონის შესაბამისად

თქვენი უფლებები

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელების ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ დაუშვებელია ძველი ტენდენციების გაგრძელება და დრო დადგა გავთავისუფლდეთ ზოგიერთი მანკიერი მემკვიდრეობისაგან — ამ სიტყვებით დაიწყო „ლელოს" კორესპონდენტთან საუბარი ხსენებული პროფკავშირის თავმჯდომარემ **იროდი ბეჟაშვილმა.**

◆ ***კონკრეტულად რას გულისხმობთ მანკიერ ტენდენციებში?***

— პირველი უარყოფითი ტენდენცია ისაა, რომ საჯარო სამსახურში მოსული ხელმძღვანელები აიძულებენ საჯარო მოსამსახურეებს, საკუთარი ნებით დაწერონ განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, იმ მოტივით, რომ მათ შესაძლებლობა მიეცეთ საკუთარი შეხედულებით შეარჩიონ კადრები. შეგახსენებთ, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით მუშაკთა მასობრივი გათავისუფლება მხოლოდ დაწესებულების ლიკვიდაციის დროს შეიძლება მოხდეს.

ამდენად, მუშაკთა იძულება, დაწერონ განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, არის უკანონო. მოქმედი კანონმდებლობა მთავრობის შემადგენლობის მიერ უფლებამოსილების მოხსნისას, ან სხვა საფუძველზე მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტისას, ითვალისწინებს მხოლოდ მინისტრის მოადგილეების უფლებამოსილებათა შეწყვეტას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის ეს იმპერატიული ნორმები დაცული იქნეს.

მეორე უარყოფით ტენდენციად მიგვაჩნია 1997 წლიდან დაწყებული საკანონმდებლო ექსპერიმენტები, რომელიც დღემდე გრძელდება.

◆ ***რაში გამოიხატება ეს საკანონმდებლო ექსპერიმენტები?***

— კონკრეტულად იმაში, რომ საქართველოს პარლამენტმა 2003 წლის 31 დეკემბერს „საჯარო მოსამსახურეთა შესახებ" კანონში შეიტანა ცვლილებები, რომელთა ძალითაც შეჩერდა კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 42-ე და 47-ე მუხლების, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 109-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის მოქმედება, რაც ნამსახურევი წლებისა და წოდებისათვის ხელფასზე დანამატის სახელშეკრულებო დახმარების, ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთათვის კომპენსაციის გაცემას, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადებისათვის სწავლების ხარჯების ანაზღაურებას ითვალისწინებდა.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ხელისუფლებამ ერთბაშად უნდა გადაწყვიტოს ყველა პრობლემა, მაგრამ, როცა პარლამენტისათვის ცნობილი იყო, რომ დაიწყებოდა დაწესებულებებში სტრუქტურული ცვლილებები, რაც უდავოდ გამოიწვევდა მუშაკთა მასობრივ დათხოვნებს, კომპენსაციის, კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯების და საშვებულებო დახმარების გაცემის შეჩერება ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია.

◆ ***რა არის მუშაკის განთავისუფლების საფუძველი და წესი?***

— მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ მუშაკს უნდა ეცნობოს პერსონალურად ორი თვით ადრე. შეტყობინება კი მუშაკმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის დროს ორგანიზაციის ადმინისტრაცია ან სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია ორი თვით ადრე აცნობოს შრომითი მოწყობის ორგანოს მუშაკთა მასობრივი განთავისუფლების შესახებ.

მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესობა განისაზღვრება კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად.

◆ ***როგორია განთავისუფლებული მუშაკის კომპენსაციები და შეღავათები?***

— დაწესებულებიდან მათი ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირების გამო განთავისუფლებულ მუშაკებს შრომის ხელშეკრულების (კონტაქტის) შეწყვეტისას:

ა) ეძლევათ გასასვლელი დახმარება ერთის თვის საშუალო ხელფასის ოდენობით.

ბ) უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი შრომით მოწყობამდე, მაგრამ დათხოვნის დღიდან არა უმეტეს ორი თვის განმავლობაში, გასასვლელი დახმარების მიცემის გაუთვალისწინებლად;

გ) უნარჩუნდებათ უწყვეტი შრომის სტაჟი, თუ დათხოვნის შემდეგ წყვეტილი მუშაობის ხანგრძლივობა სამ თვეს არ აღემატება.

◆ ***ვის აქვს სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება?***

— მუშაკის რიცხოვნობის ან შტატების შემცირებისას, სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ მუშაკებს, რომლებიც უფრო მაღალი კვალიფიკაციითა და შრომის ნაყოფიერებით გამოირჩევიან.

თანაბარი პირობების შემთხვევაში, სამუშაოზე დარჩენის უპირატესობა ეძლევა:

ა) ოჯახის მეპატრონეს — თუ კმაყოფაზე ჰყავს ორი ან მეტი პირი, ასევე მარტოხელა დედებს და ქალებს, რომლებსაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვი;

ბ) იმ პირს, რომლის ოჯახში არ არის დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე სხვა პირი;

გ) იმ პირს, რომელსაც დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი აქვს;

დ) ომისა და სამხედრო ინვალიდებს, იმ ოჯახის წევრებს, რომელთა მარჩენალიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

◆ ***დასკვნის სახით რას გვეტყვით?***

— სტრუქტურული ცვლილებები, ამ ეტაპზე რაც შეიძლება უმტკივნეულოდ უნდა ჩატარდეს. შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა საბოლოოდ უნდა დაუსვას წერტილი საჯარო მოსამსახურეებზე ძველი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ მანკიერ პრაქტიკას და ექსპერიმენტებს. სახელდობრ, მომავალი წლიდან უნდა ამოქმედდეს ძველი ხელისუფლების მიერ მთელი 6 წლის მანძილზე პერმანენტულად გადადებული „საჯარო სამსახურების შესახებ" საქართველოს კანონით მოხელეთათვის ნამსახურევი წლებისა და ჩინისათვის გათვალისწინებული ხელფასზე დანამატების საშვებულებო დახმარების, გათავისუფლებულ მოსამსახურეთა ხარჯების ანაზღაურება, კომპენსაციების გაცემა. საქართველოს პრეზიდენტის აქტიური ჩარევით უნდა აღდგეს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თავდაპირველი — 1997 წლის 31 დეკემბრის ვარიანტით გათვალისწინებული მრავალი გარანტია და შეღავათი, რომლებიც კანონში ძველი ხელისუფლების მიერ შეტანილი ცვლილებებისა და დამატებებით შეიკვეცა, ან გაუქმდა. ამის თაობაზეც საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მიერ მომზადებული კანონპროექტი საქართველოს პრეზიდენტს დროულად გაეგზავნა.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს პრეზიდენტი საჯარო მოსამსახურეთა პრობლემებს გულთან ახლოს მიიტანს და მსვლელობასაც მისცემს მას.

ესაუბრა ლაშა გოგუაძე.

# «ლიბეროს» ეტალონი

წინამდებარე საგაზეთო წერილი მინდა დავიწყო გენიალური ფრაზით — „ფეხბურთი ყველაზე არსებითია — ყველა არარსებულს შორის". იგი ლეგენდარულ გერმანელ ფეხბურთელს „კაიზერ ფრანცს", ანუ ფრანც ბეკენბაუერს ეკუთვნის, რომელსაც ახლახან შეუსრულდა დაბადებიდან 60 წლისთავი. ბევრი თქმულა და დაწერილა ამ ფეხბურთელის შესახებ და, იმედია, მომავალშიც კიდევ მეტი დაიწერება. საფეხბურთო სამყაროს გამოჩენილ ყველა მცველს შორის იგი არავის უთმობს პირველობას და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მთელი თავით მაღლა იდგა ჯალმა და ნილტონ სანტოსებზე, თავის თანამემამულეებზე შნელინგერზე და ფოგტსზე, ინგლისელ ბობი მურზე, არგენტინელ დანიელ პასარელაზე, იტალიელ ჯაცინტო ფაკეტიზე, კარლოს ალბერტოზე, შესტერნიოვზე, ხურცილავაზე... და, ერთი სიტყვით, ბევრ სხვებზეც, რადგან ზემოაღნიშნული სახელები წმინდა წყლის დაცვითი ამპლუის ფეხბურთელები იყვნენ, ბეკენბაუერი კი უნივერსალი, რომელსაც დროდადრო ისე შეეძლო გუნდის შეტევაში ჩართვა, რომელიც ბევრ მის თანაგუნდელ თავდამსხმელსაც კი შეშურდებოდა. აი, რას წერდა ამ მეოთხედი საუკუნის წინათ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი და ფეხბურთის ენციკლოპედიური მცოდნე გურამ ფანჯიკიძე: „ფრანც ბეკენბაუერი კატასავით რბილად და ნელა დადის, მაგრამ ელვისებური ნახტომები აქვს. სწორედ ამ დროს გაიელვებს ხოლმე მისი შესაშური ოსტატობა. მისი სიძლიერე უფრო ტალანტსა და სწორ მოძრაობაზეა დაფუძნებული, ვიდრე ფიზიკურ ძალაზე. იგი კარგი ათლეტია, მაგრამ მაინც გაურბის საჰაერო ბრძოლას. ბეკენბაუერი მოედნის შუაგულის მოთამაშეა, სწორედ აქედან იწყება ხოლმე მისი გადასვლა იერიშზე"... შემდეგ გურამ ფანჯიკიძე ადარებს რა მას პელეს, განაგრძობს: ...„მისი დიდებული დარტყმები არ გამოირჩევა დიდი სიძლიერით, მაგრამ გვხიბლავს თავისი სიზუსტით, ოსტატურად არეგულირებს რიტმს, ინტუიციით გრძნობს იერიშის დაწყების მომენტს და მოულოდნელად მოქმედების საოცარი უნარი შესწევს"... არ შეიძლება არ დაეთანხმოს მკითხველი გურამ ფანჯიკიძის ამ ბეკენბაუერისეულ დახასიათებას, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ამ დიდებული ოსტატის საბრძოლო შემართება, თუნდაც ტელევიზორის ეკრანიდან... ფრანც ბეკენბაუერი სრულიად ახალგაზრდა გამოჩენილ მწვრთნელს ჩაიკოვსკის პირველად რომ უხილავს — აღტაცება ვერ დაუფარავს და უთქვამს, რომ მისგან უდიდესი ფეხბურთელი დადგებაო. ფრანც ბეკენბაუერის აღზევებას ხელი შეუწყო დრომაც. ეს ის დრო იყო, როდესაც ტოტალური ფეხბურთის სათავეებთან გამოჩნდა პატარა ქვეყნის დიდი გუნდი ე.წ. ჰოლანდიის ნაკრები თავისი უცილობელი ლიდერით — იოჰან კრუიფით.

ამ გუნდმა ნამდვილი რევოლუცია რომ მოახდინა ფეხბურთში, ვფიქრობ, არავისთვის საიდუმლო არ უნდა იყოს და რაოდენ სამწუხაროა, რომ „ფორტუნამ" მათ ზურგი შეაქცია და ვერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ფრანც ბეკენბაუერი ორჯერ დაასახელეს სამყაროს იდეალურ ნაკრებში 1966 წელს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე და 1970 წელს — მექსიკაში.

1978 წელს არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე ჟურნალისტებს შეუდგენიათ ერთობ უჩვეულო სიმბოლური ნაკრები იმ ფეხბურთელებისგან, რომლებიც ვერ მონაწილეობდნენ არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში მიზეზთა გამო. ეს ნაკრები ასე გამოიყურებოდა: **მეკარე** — კლემენსი (ინგლისი), **მცველები** — ფაკეტი (იტალია), ბეკენბაუერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ლუის პერეირა (ბრაზილია), კამაჩო (ესპანეთი); **ნახევარმცველები** — ბრაიტნერი (გფრ), კრუიფი (ჰოლანდია), გრაბოვსკი (გფრ), **თავდამსხმელები** — კიგანი (ინგლისი), სიმონსენი (დანია), ბლოხინი (საბჭოთა კავშირი).



თავისი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის მანძილზე ფრანც ბეკენბაუერმა შეძლო ყველა იმისი მოგება, რაც კი შეიძლებოდა — დაწყებული მსოფლიო ჩემპიონობიდან მოთამაშის რანგში და დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონობით — მწვრთნელის რანგში. ასეთი პატივი წილად მხოლოდ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელს მარიო ზაგალოს არგუნა ღმერთმა. — ფიფას ეგიდით მეოცე საუკუნის მსოფლიო ნაკრებში მას ღირსეული ადგილი მიუჩინეს. ნაკრები ასე გამოიყურება: მეკარე — ლევ იაშინი; დაცვა — კარლოს ალბერტო, ფრანც ბეკენბაუერი, ბობი მური, ნილტონ სანტოსი; ნახევარდაცვა — იოჰან კრუიფი, ალფრედო დი სტეფანო, მიშელ პლატინი; თავდასხმა — გარინჩა, პელე, დიეგო მარადონა.

აღსანიშნავია, რომ ფრანც ბეკენბაუერის კვალობაზე დღესდღეობით დიდებული ფეხბურთელი გამოჩნდა გერმანელთა რიგებში — მიქაელ ბალაკი. მას კაიზერ ფრანცის მემკვიდრედაც კი მიიჩნევენ. თვითონ ფრანც ბეკენბაუერს ბალაკთან მიმართებაში ასეთი ფილოსოფიური განმარტება მიუცია: „ჭეშმარიტად კარგი ფეხბურთელი მე ოცდაათი წლის ასაკში გავხდი და მანამდე ბალაკს კიდევ დიდი დრო რჩებაო".

დასასრულ, ერთი იმ უნივერსალური ტაქტიკური ვარიანტის შესახებაც, რომელიც 1+3+5+2-ით მოიხსენიება და უკავშირდება ფრანც ბეკენბაუერის სახელს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სისტემა 1990 წელს გამოიყენა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა და შეძლო მსოფლიო ჩემპიონატის მოგება იტალიაში. დღესდღეობით ზემოაღნიშნულმა სისტემამ მოდიფიცირება განიცადა და ევროპის ბევრი ქვეყანა მას იყენებს 1+4+4+2 და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში პრაქტიკულად გერმანიის ყველა საკლუბო გუნდი.

**P.S. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფრანც ბეკენბაუერიის „ანგარიშზე" 4 ავტოგოლიცაა.**

დემურ ტორაძე

# კონსტანტინე (კოტე) ჩადულიადისი



65 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი მოკრივე, ჩინებული პიროვნება კონსტანტინე ჩადულიადისი. ახალგაზრდობიდან წარმატებით გამოდიოდა საქართველოს ნაკრებ გუნდში, იყო „ბურევესტნიკის" საკავშირო პირველობის მრავალგზის პრიზიორი, 1961 წელს სსრ კავშირის პროფკავშირების პირველობის მონაწილე მოსკოვში. ოსტატობას ხვეწდა გამოჩენილ მოკრივეებთან და მწვრთნელებთან ძმებ გივი და ნოდარ დარბაისლებთან, გივი მუხაძესთან, სერგო ჩოტულიდთან. თავადაც დიდხანს ერთგულად ემსახურა ქართულ სპორტს. ათეული წლები იმუშავა თბილისის სპეცავტომომსახურების ხელმძღვანელად.

ძვირფასი კოლეგის, გასული საუკუნის 50-60-იანი წლებში ქართული კრივის ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატის, სიკეთითა და ადამიანების სიყვარულით გამორჩეული პიროვნების, ლამაზი სულის მეგობრის კონსტანტინე ჩადულიადისის ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება ჩვენი მეხსიერებიდან.

*ვეტერანი მოკრივეები და მეგობრები: ვლადიმერ აზალკაცი, მალხაზ მამამთავრიშვილი, ჯემალ რაზმაძე, ერასტი ერისთავი, ლევან ანდღულაძე, სერგო ბერძენიშვილი, ვლადიმერ ჩაგულოვი, ვლადიმერ ბაბახანიდი.*

# ჭაბუკთა ლიგა

## საქართველოს პირველობა

აღმოსავლეთი ზონა

1988 წელს დაბადებულები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არაგვი (დუშ) | 4 | 3 | 0 | 1 | 15-9 | 9 |
| თ.ს. აკადემია | 3 | 2 | 1 | 0 | 9-5 | 7 |
| 35-ე სკოლა | 3 | 2 | 0 | 1 | 8-3 | 6 |
| ლიდერი (თბ) | 3 | 2 | 0 | 1 | 10-10 | 6 |
| მამული(რუს) | 4 | 2 | 0 | 2 | 6-10 | 6 |
| ოლიმპიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 10-6 | 4 |
| ასს თბ | 3 | 1 | 1 | 1 | 9-6 | 4 |
| აზოტი (თბ) | 4 | 1 | 1 | 2 | 7-11 | 4 |
| XXI საუკუნე | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |
| ამერი (თბ) | 3 | 0 | 0 | 3 | 2-12 | 0 |

1989 დაბადებულები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მთ. გლობუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-4 | 10 |
| ლიდერი-89 | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 35-ე სკოლა | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| იმედი (თბ) | 4 | 2 | 0 | 2 | 7-10 | 6 |
| ოლიმპიკი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-2 | 5 |
| XXI საუკუნე | 4 | 1 | 1 | 2 | 5-10 | 4 |
| თ.ს. აკადემია | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 2 |
| ომც | 4 | 0 | 1 | 3 | 4-7 | 1 |

1990 წელს დაბადებულები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 11-7 | 10 |
| ომც | 4 | 3 | 0 | 1 | 12-4 | 9 |
| ოლიმპიკი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| XXI საუკუნე | 3 | 1 | 2 | 0 | 8-6 | 5 |
| იმედი | 4 | 1 | 2 | 1 | 9-11 | 5 |
| ავაზა | 4 | 1 | 1 | 2 | 12-8 | 4 |
| ამერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| თ.ს. აკადემია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| ბერი 2000 | 4 | 1 | 0 | 3 | 8-9 | 3 |
| მთ. გლობუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 35-ე სკოლა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| შავნაბადა | 3 | 0 | 0 | 3 | 3-19 | 0 |

1991 წელს დაბადებულები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიკი | 4 | 3 | 1 | 0 | 17-3 | 10 |
| ნ. დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 16-3 | 9 |
| 35-ე სკოლა | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| მერანი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| თ.ს. აკადემია | 4 | 1 | 2 | 1 | 8-6 | 5 |
| ერთობა(ახმ) | 4 | 1 | 2 | 1 | 5-8 | 5 |
| ორს | 3 | 1 | 2 | 0 | 4-0 | 5 |
| შევარდენი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-8 | 4 |
| მთ. გლობუსი | 4 | 0 | 3 | 1 | 0-2 | 3 |
| იმედი | 3 | 1 | 0 | 2 | 8-12 | 3 |
| ავაზა | 4 | 1 | 0 | 3 | 8-14 | 3 |
| შავნაბადა | 4 | 0 | 2 | 2 | 5-15 | 2 |
| ომც | 4 | 0 | 1 | 3 | 4-11 | 1 |

შენიშვნა: ჭაბუკთა ლიგის გათამაშება წლეულს პირველად ტარდება და მომავალში ყოველწლიურად გაიმართება.

# „იყავი ჯანმრთელი, გამოადექი შენს ქვეყანას!"




„ლოკომოტივის" სტადიონი

ტურიზმის, სპორტული და გასართობი თამაშების ერთი დღე კუს ტბაზე — 22 ოქტომბერს!

ორგანიზატორები: საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ფედერაცია „სპორტი—ყველასათვის!" საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია, საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი. სტარტი ბაგებში (ტროლეიბუსების ბოლო გაჩერებასთან) 10 საათზე, შეკრება იქვე 9 საათსა და 30 წუთზე, (დებულება გამოქვეყნდა „ლელოს" წინა ნომერში)

# თქვენ და ჩვენი გაზეთი...

თუ თქვენ გაგიჩნდათ „ლელოს" შეძენის პრობლემა, შეუთანხმდით პრესის ნებისმიერ გამავრცელებელს და ის უზრუნველყოფს ჩვენი გაზეთის ყველა ნომრით თქვენს სისტემატურ მომარაგებას. უკიდურეს შემთხვევაში, „ლელოს" ახალი ნომრის შეძენა ყოველთვის შეგიძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს" წინ (კოსტავას 14) გამავრცელებელთან, ძველი ნომრების — რედაქციაში (იმავე მისმართზე, IV სართული ჭოველიძის ქუჩიდან).



## პირველში ქულა ვიკმარეთ

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი საქართველოს 17-წლამდე ჭაბუკთა ნაკრებმა მასპინძლებთან, ბელგიელ თანატოლებთან დაძაბული მატჩით დაიწყო. ქართველები ფლამანდიელებს არ შეეპუენ და თავიანთი უპირატესობის დამტკიცებას თავიდანვე შეუდგნენ, თუმცა, გოლი პირველებმა გაუშვეს. მასპინძლები მე-3 წუთზე დაწინაურდნენ და იმის მაგივრად, რომ სტუმრები საბოლოოდ გაეტეხათ, თვითონვე აღმოჩნდნენ მდევრის როლში. მე-16 წუთზე მჭედლიძემ გაათანაბრა ანგარიში. 29-ზე კი ჩარგეიშვილმა გაიყვანა ჩვენებურები წინ. ლევან მელიქიას შეგირდები უპირატესობას 70-ე წუთამდე ინარჩუნებდნენ, მაგრამ ბელგიელებმა ანგარიშის გათანაბრება მაინც შეძლეს. დარჩენილ ათ წუთში წონასწორობა აღარ დარღვეულა (ტაიმები 40-წუთიანია). ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში ბულგარელებმა ავსტრიელებს მოუგეს 4-0 და პირველი ტურის შემდეგ ჯგუფის სატურნირო ცხრილს მეთაურობენ. ბელგიელებთან პაექრობაში ჩვენი ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო:

**ბელგია – საქართველო 2-2**

**საქართველო:** კვასხვაძე, ბენაშვილი, შარანგია, ხუმარაშვილი, ტეტუნაშვილი (სანაია), დაუშვილი, წულაძე, ჩარგეიშვილი, თარხნიშვილი, ჯანელიძე (პავლიაშლი), მჭედლიძე (გავაშელიშვილი).

**ბულგარეთი – ავსტრია 4-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| საქართველო | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ბელგია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ავსტრია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |

მომდევნო მატჩს საქართველოს ნაკრები დღეს, ოდენაარდში, თბილისის დროით 18 საათზე ავსტრიელ თანატოლებთან გამართავს. ტურნირს კი კვირას, 23 ოქტომბერს ბულგარელებთან პაექრობით დაამთავრებს. შეგახსენებთ, რომ შეჯიბრების მეორე ეტაპზე ასპარეზობას ორი საუკეთესო გუნდი გააგრძელებს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# ვინ შეაჩერებს „ლოკომოტივს"?

შაბათსა და კვირას ეროვნული პირველობის მორიგი მეათე ტურის მატჩები გაიმართება. საგრძნობლად დაწინაურებული ლიდერთა სამეულიდან ორი შინ ითამაშებს, ერთი კი თბილისს ეწვევა. მესამე ადგილზე მყოფი „ბორჯომი" ისევ გასვლით მატჩს ჩაატარებს და გლდანში „ამერს" დაუპირისპირდება. წინა ტურის შედეგის გათვალისწინებით, სტუმრებს, საკმაოდ რთული მატჩი ელით. ბორჯომელები ამბიციურ გუნდს უნდა გაუმკლავდნენ, სხვა შემთხვევაში, საპრიზო ადგილს შეიძლება ჩამოცილდნენ კიდეც. ერთი კვირის წინ, თბილისში „დინამოსთან" დიდი ანგარიშით დამარცხებული ბოლნისელები ჯავრს, ალბათ, ნასტუმრებ ცხინვალელებზე იყრიან. „სიონს" ლიდერობა არ ეთმობა და თუნდაც ამჟამინდელი მეორე ადგილის შენარჩუნებას ზეგინდელ მატჩში შეეცდება. ჩემპიონატის ახალი ერთპიროვნული ლიდერის, სიჩქარეაკრეფილი „ლოკომოტივის" შეჩერებას ზესტაფონელები შეეცდებიან, მაგრამ ეს რკინიგზელთა სარბიელზე, ერთობ ძნელი იქნება. „ლოკომოტივი" ჯერჯერობით დაუმარცხებელია და ტურიდან ტურამდე, მკაფიოდ აფიქსირებს თავის სიძლიერეს. „ზესტაფონმა" კი პირველობის სტარტზე აღებულ ტემპს საგრძნობლად უკლო. „ვიტ ჯორჯიამ" ძალა მოიკრიბა და არავის ავტორიტეტს აღარ ეპუება. ახლაც მეტოქედ, აშკარად სუსტი, აუტსაიდერი „სპარტაკი" ჰყავს და მორიგი გამარჯვების მოპოვება, წესით, არ უნდა გაუჭირდეს. ყველა მატჩს თავისებური ინტრიგა ახლავს, მაგრამ, მათ შორის გამორჩეული, რა თქმა უნდა, ქუთაისში გასამართი მატჩია. „ტორპედო" ჯერ კიდევ გათამაშების ფსკერის ზღვარზეა, ქულებიც მიზერული აქვს, მაგრამ მასპინძლებს გამაღიზიანებელი, ერთობ შთამბეჭდავი მეტოქე ჰყავს — თბილისის „დინამო". იქნებ მუდმივ მოქიშპესთან და კონკურენტთან დაპირისპირებამ იმერლებს საუკეთესო საფეხბურთო თვისებების გამოვლინებისკენ უბიძგოს. თბილისის „დინამომ" დიდი უპირატესობით, ჩინებულ სტილში ჩამოაქვეითა პირველი საფეხურიდან უწინდელი ლიდერი „სიონი" და ახლა კრიზისდაძლეული, ალბათ, ქუთაისელებსაც შეუტევს. დინამოელებს გუნდში ძირითადი შემადგენლობის ცხრა ფეხბურთელისათვის ჰოსპიტალი აქვთ „გახსნილი", მაგრამ შექმნილი მძიმე ვითარების მიუხედავად, დაკარგული, მოწინავე პოზიციების დაბრუნებას შეუპოვრად ცდილობენ და ქულების მოპოვებაზე არც ამჯერად იტყვიან უარს. მოკლედ, ქართული საფეხბურთო გრანდების შერკინება ნებისმიერ ვითარებაში მართლაც საინტერესო და დამაინტრიგებელია.

მეათე ტურის დარჩენილი სამი მატჩიც არ არის ინტერესს მოკლებული.

გორელები უქულო აუტსაიდერ „თბილისს" უმასპინძლებენ. დედაქალაქელებს ძველი პატრონი და გულშემატკივარი დაუბრუნდათ. მამუკა გუგეშაშვილის გამოჩენამ შეიძლება კლუბში არსებული არეული მდგომარეობა ადრინდელივით დაალაგოს. გუნდს კი სტიმული და რთული ვითარებიდან თავის დაძვრენის სურვილი გამოუჩინოს. ამის პირველ მაჩვენებლად ხვალინდელი მატჩი შეიძლება იქცეს. ბათუმელები კახელებს „პლაჟზე" მიიპატიჟებენ, მაგრამ რომელს მოუხდება შავი ზღვის ჰაერი და წყალი, ადვილი გამოსაცნობი არ არის. ფოთელები სოხუმელებს მიიღებენ „ფაზისზე". სამივე წყვილში მეტოქეთა ძალები მეტნაკლებად თანაბარია, მაგრამ ფავორიტებად, მაინც მასპინძლები უნდა დავასახელოთ. მეათე ტურის შეხვედრებამდე, ოთხშაბათს, პირველობის ერთ-ერთი საყურადღებო მატჩიც შედგა. ზესტაფონელებს და ვიტელებს ფიცხელი ორთაბრძოლა უნდა გაემართათ მეხუთე ტურის გადატანილ შეხვედრაში, მაგრამ სტუმართა უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ „ვიტ ჯორჯიამ" „ზესტაფონი" პირწმინდად დაჯაბნა — 4-0. პრინციპულ მატჩში თბილისელებმა სამი ქულაც მოიპოვეს, მეორე ადგილზეც აინაცვლეს და ლიდერს კვალდაკვალ მიჰყვებიან. მათი გოლეადორი მარცვალაძე კი ბომბარდირთა დავას ჩაუდგა სათავეში.

Coca-Cola
გენერალური სპონსორი

საქართველოს XVII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**V ტურის გამოტოვებული მატჩი. 19 ოქტომბერი.**

**ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 5000 მაყურებელი**

**ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია 0-4**

**ზესტაფონი:** ქაჩახია, ძამსაშვილი, შ. ლონლაძე, ბესარაშვილი (ბ. ნოზაძე, 46), ს. თოდუა, განუგრავა (თურმანიძე, 60), ნუდნი, კ. ჩხეტიანი, გ. ფიფია, ბ. გოცირიძე (იმედაძე, 62), იონანიძე.

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, რაზმაძე, თ. კობიაშვილი, დ. ლომაია, გველესიანი, ფიქრიშვილი, იმედაშვილი (ქუხილავა, 88), დილმელაშვილი, ზ. სახოკია (აბშილავა, 40), მარცვალაძე (ბერიაშვილი, 82), ნ. გელაშვილი.

**გოლები:** 0-1 ფიქრიშვილი (18), 0-2, 0-3, 0-4 მარცვალაძე (20, 23, 57).

**გააფრთხილეს:** გელაშვილი (12), იმედაშვილი (16), გოცირიძე (25), ნუდნი (44), იონანიძე (60,72), ლომაია (74), კობიაშვილი (82).

**გააძევეს:** იონანიძე (72).

**მსაჯი:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 9 | 7 | 2 | 0 | 15-2 | 23 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 7 | 1 | 1 | 19-5 | 22 |
| სიონი | 9 | 7 | 1 | 1 | 15-7 | 22 |
| ბორჯომი | 9 | 7 | 0 | 2 | 18-8 | 21 |
| დინამო (თბ) | 9 | 5 | 1 | 3 | 13-6 | 16 |
| ამერი | 9 | 5 | 1 | 3 | 8-7 | 16 |
| ზესტაფონი | 9 | 4 | 1 | 4 | 6-9 | 13 |
| დინამო (ბთ) | 9 | 4 | 1 | 4 | 6-6 | 13 |
| დილა | 9 | 4 | 0 | 5 | 12-10 | 12 |
| კოლხეთი1913 | 9 | 4 | 0 | 5 | 5-9 | 12 |
| კახეთი | 9 | 4 | 0 | 5 | 9-13 | 12 |
| ცხინვალი | 9 | 3 | 0 | 6 | 6-12 | 9 |
| ტორპედო | 9 | 2 | 2 | 5 | 6-9 | 8 |
| დინამო (სოხ) | 9 | 2 | 1 | 7 | 9-20 | 7 |
| სპარტაკი | 9 | 1 | 1 | 7 | 1-10 | 4 |
| თბილისი | 9 | 0 | 0 | 9 | 2-17 | 0 |

**ბომბარდირები**

ო. მარცვალაძე (ვიტ ჯორჯია) — 8
გ. ქორიძე (ბორჯომი) — 6

**უმაღლესი ლიგა. X ტური. ანონსი**

**22 ოქტომბერი**

ამერი — ბორჯომი
დილა — თბილისი
დინამო (ბთ) — კახეთი
კოლხეთი1913 — დინამო (სოხ)

**23 ოქტომბერი**

სპარტაკი — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — დინამო (თბ)
სიონი — ცხინვალი
ლოკომოტივი — ზესტაფონი

## პირველი ლიგა

**XI ტური. ანონსი**

**21 ოქტომბერი**

გაგრა — მეშახტე
მერანი — ჩიხურა
დინამო2 (თბ) — ზუგდიდი
თბილისი2 — ზესტაფონი2 (გადაიდო)
რუსთავი — ამერი2
გურია — ლოკომოტივი2
ვიტ ჯორჯია2 (მცხ) — მესხეთი
მალაროელი — მეშაქრე
საგარეჯო — ლიახვი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი2 | 10 | 7 | 1 | 2 | 18-7 | 22 |
| ჩიხურა | 9 | 7 | 1 | 1 | 31-11 | 22 |
| დინამო2 (თბ) | 10 | 6 | 2 | 2 | 19-6 | 20 |
| მეშაქრე | 10 | 6 | 2 | 2 | 15-8 | 20 |
| მერანი | 10 | 5 | 3 | 2 | 12-6 | 18 |
| გურია | 10 | 5 | 2 | 3 | 21-14 | 17 |
| რუსთავი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-14 | 17 |
| მეშახტე | 10 | 4 | 3 | 3 | 11-7 | 15 |
| მესხეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-12 | 15 |
| ზუგდიდი | 10 | 4 | 3 | 3 | 4-5 | 15 |
| ლოკომოტივი2 | 10 | 4 | 1 | 5 | 10-15 | 13 |
| საგარეჯო | 10 | 3 | 2 | 5 | 7-11 | 11 |
| ვიტ ჯორჯია2 | 9 | 2 | 2 | 5 | 7-10 | 8 |
| თბილისი2 | 10 | 2 | 2 | 6 | 9-18 | 8 |
| ლიახვი | 10 | 2 | 0 | 8 | 10-25 | 6 |
| მალაროელი | 10 | 1 | 1 | 8 | 7-29 | 4 |
| ზესტაფონი2 | 8 | 0 | 0 | 8 | 7-22 | 0 |

## რეგიონალური ლიგა

**ცენტრალური. II წრე. X ტური**

პეტროვიჩი — ჩიხურა2 0-0
თბილისი — ზოოვეტი 0-3
ივერია — გორი 1-1
35-ე სკ. — აკადემია 0-2
ამირანი — ბორჯომი2 1-0

**გადატანილი მატჩი**

თბილისი — ამირანი 0-3

**აღმოსავლეთი. X ტური**

დურუჯი — ნ. დინამო 0-3
ერთობა — ალგეთი 2-3
ოჩამჩირე — სამგორი 5-1
ნ. დინამო2 — ხალიბი 4-0
ალაზანი — დილომი 0-2
გარეჯი — ამერი3 0-1
მაუდი — ცხუმი 1-2
კახეთი2 — ამირანი 1-0

**დასავლეთი. იმერეთის ზონა. VII ტური**

მერცხალი — სამტრედია 0-0
დინამო2 (ბთ) — სულორი 3-0
ზესტაფონი3 — იმერეთი 3-0
რაჭა — კახაბერი 3-1
ნ. დინამო(ქ) — ტორპედო2(ქ) 2-2

**დასავლეთი. სამეგრელოს ზონა. VI ტური**

სალხინო — სამეგრელო 4-3
დინამო (ზ) — კოლხეთი (ხ) 1-1
სქური — კოლხეთი2 (ფ) 3-1
თოლია — მგლები 3-0

**სამეგრელოს ზონა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სქური | 6 | 5 | 1 | 0 | 15-5 | 16 |
| სალხინო | 6 | 4 | 0 | 2 | 14-11 | 12 |
| კოლხეთი (ხ) | 6 | 3 | 1 | 2 | 8-4 | 10 |
| კოლხეთი2(ფ) | 6 | 3 | 0 | 3 | 9-7 | 9 |
| მგლები | 6 | 3 | 0 | 3 | 7-8 | 9 |
| თოლია | 6 | 2 | 1 | 3 | 8-9 | 7 |
| დინამო (ზ) | 6 | 2 | 1 | 3 | 7-12 | 7 |
| სამეგრელო | 6 | 0 | 0 | 6 | 5-17 | 0 |

**ცენტრალური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი2 | 10 | 7 | 1 | 2 | 22-11 | 22 |
| ზოოვეტი | 10 | 6 | 2 | 2 | 18-6 | 20 |
| ჩიხურა2 | 10 | 6 | 2 | 2 | 27-10 | 20 |
| აკადემია | 10 | 5 | 0 | 5 | 17-12 | 15 |
| ამირანი (თბ) | 10 | 5 | 0 | 5 | 16-16 | 15 |
| გორი | 10 | 4 | 3 | 3 | 17-16 | 15 |
| ივერია | 10 | 4 | 3 | 3 | 8-11 | 15 |
| 35-ე სკოლა | 10 | 3 | 1 | 6 | 18-25 | 10 |
| თბილისი | 10 | 2 | 0 | 8 | 11-27 | 6 |
| პეტროვიჩი | 10 | 1 | 2 | 7 | 9-29 | 5 |

**იმერეთის ზონა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| შუქურა | 6 | 4 | 1 | 1 | 12-4 | 13 |
| სამტრედია | 6 | 2 | 4 | 0 | 8-5 | 10 |
| კახაბერი | 7 | 2 | 4 | 1 | 8-6 | 10 |
| რაჭა | 6 | 2 | 2 | 2 | 9-9 | 8 |
| დინამო2 (ბთ) | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| ზესტაფონი3 | 5 | 2 | 1 | 2 | 10-7 | 7 |
| ტორპედო2(ქ) | 7 | 1 | 3 | 3 | 7-11 | 6 |
| იმერეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-14 | 5 |
| ნ. დინამო(ქ) | 6 | 0 | 4 | 2 | 4-7 | 4 |
| სულორი | 6 | 0 | 3 | 3 | 3-9 | 3 |

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილომი | 10 | 9 | 1 | 0 | 31-4 | 28 |
| ნ. დინამო | 10 | 8 | 2 | 0 | 25-3 | 26 |
| ამერი3 | 10 | 7 | 3 | 0 | 26-3 | 24 |
| ნ. დინამო2 | 9 | 6 | 2 | 1 | 13-3 | 20 |
| ცხუმი | 10 | 6 | 0 | 4 | 28-20 | 18 |
| ოჩამჩირე | 9 | 5 | 1 | 3 | 21-12 | 16 |
| ხალიბი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-11 | 16 |
| კახეთი2 | 10 | 4 | 4 | 2 | 12-7 | 16 |
| მაუდი | 10 | 3 | 3 | 4 | 10-9 | 12 |
| გარეჯი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-9 | 11 |
| სამგორი | 10 | 3 | 2 | 5 | 18-24 | 11 |
| ალაზანი | 10 | 2 | 2 | 6 | 6-13 | 8 |
| ალგეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 11-38 | 5 |
| ამირანი (ოჩ) | 10 | 1 | 2 | 7 | 7-22 | [illegible] |
| დურუჯი | 10 | 1 | 1 | 8 | 9-38 | 4 |
| ერთობა | 10 | 0 | 2 | 8 | 6-31 | 2 |

სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის სხდომა

# მკაცრი სასჯელი „მეშახტეს"

ოთხშაბათის მორიგ სხდომაზე სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა კვლავ განიხილეს ჩვენს სტადიონებზე მომხდარი რამდენიმე უმსგავსობა. სხდომის ძირითადი დრო ტყიბულში „მეშახტე" – „მერანის" მატჩისას მასპინძელი გუნდის მთავარი მწვრთნელის დავით გვენეტაძის და ადმინისტრატორის ავთანდილ აბულაძის მიერ, შეხვედრის მსაჯების (სანაია, ბუიშვილი, ხეცაძე, ნარმანია) და ინსპექტორ გაბისონიას ლანძღვა-გინების ფაქტს მიეძღვნა. მოხსენებითი ბარათების წაკითხვის შემდეგ კომიტეტის წევრებმა „მეშახტეს" მესვეურებს, ვიცე-პრეზიდენტს და ტყიბულის რაიონის გამგებლის მოადგილეს ლევან დოხნაძეს და მეორე მწვრთნელს მერაბ ბაბუხადიას მოუსმინეს. გამოირკვა, რომ ტყიბულელთა გუნდის თავკაცები შეხვედრის პირველივე წუთიდან აგრესიულად იყვნენ განწყობილი მსაჯებისადმი. პირველი ტაიმის შემდეგ, შესვენებაზე შეცვივდნენ მსაჯთა ოთახშიც და პოლიციას რომ არ ემარჯვა, აყალმაყალი ადრევე დაიწყებოდა. მწვრთნელს და ადმინისტრატორს ფეხბურთელებიც და რამდენიმე მაყურებელიც აჰყვა. მატჩის მიწურულს ტყიბულელი გელა ფანჩულიძე გინებისთვის მინდვრიდან გააძევეს, ხოლო გულადი კალანდაძემ მთავარ მსაჯს წყალი შეასხა, ვიღაცამ კი წიხლიც „მიაყოლა".

აუტანელ სიტუაციას შესაბამისი გამოძახილი ჰქონდა. სადისციპლინო კომიტეტმა მხოლოდ კლუბის მცირე ბიუჯეტი გაითვალისწინა და საჯარიმო თანხები შეამცირა, მაგრამ სფფ-ს სადისციპლინო დებულების და პროფლიგის სადისციპლინო კოდექსის მიხედვით დისციპლინური სანქციები მკვეთრად გაზარდა. ფანჩულიძე 5 თამაშით, ხოლო კალანდაძე 7 თამაშით არიან დისკვალიფიცირებულნი და 125-125 ლარს გადაიხდიან. მთავარი მწვრთნელი გვენეტაძე და ადმინისტრატორი აბულაძე 8-8 მატჩით არიან დისკვალიფიცირებულები და 150-150 ლარს გადაიხდიან. კლუბი „მეშახტე" 1000 ლარით დაჯარიმდა, ტყიბულის სტადიონი კი პირობითად სეზონის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული.

განიხილეს სხვა ინდივიდუალური სასჯელებიც. საჩხერელი მწვრთნელი ბადრი ბრეგვაძე რუსთაველი სტუმრების ლანძღვისათვის 2-2 მატჩითაა დისკვალიფიცირებული და 150 ლარითაც დაჯარიმდნენ. ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძე მსაჯ ორდინიძის გინებისათვის ანალოგიური სანქციით დაისაჯა. მსაჯის და მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ბორჯომელი რევაზ გეწაძე 2 მატჩში ვერ გავა მინდორზე და 300 ლარით დაჯარიმდა, ვიტელი პავლე დათუნაიშვილი კი, ასევე 2 მატჩს გამოტოვებს და 200 ლარით შეიმცირებს ფინანსებს.

პირველი ლიგის გამოტოვებული მატჩის „გურია" – „ჩიხურას" მსვლელობისას ლანჩხუთში მინდორზე ბლაგვი საგანი ისროლეს. შეხვედრა მცირე ხნით შეწყდა. მომხდარის გამო კლუბი „გურია" 125 ლარით დააჯარიმეს.

## ბავშვთა ლიგა

**88-89-წლიანები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 6 | 1 | 0 | 25-10 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 15-2 | 16 |
| დინამო (თბ) | 7 | 5 | 0 | 2 | 17-5 | 15 |
| კოლხეთი1913 | 7 | 5 | 0 | 2 | 16-8 | 15 |
| ზესტაფონი | 7 | 4 | 3 | 0 | 13-3 | 15 |
| სპარტაკი | 7 | 4 | 1 | 2 | 16-5 | 13 |
| ლოკომოტივი | 7 | 4 | 0 | 3 | 17-10 | 12 |
| კახეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 11-12 | 10 |
| დინამო (ბთ) | 7 | 3 | 0 | 4 | 15-17 | 9 |
| თბილისი | 7 | 2 | 3 | 2 | 9-8 | 9 |
| ამერი | 7 | 2 | 0 | 5 | 6-17 | 6 |
| დინამო (სოხ) | 7 | 1 | 3 | 3 | 6-10 | 6 |
| სიონი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-17 | 5 |
| ცხინვალი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-24 | 4 |
| დილა | 7 | 1 | 0 | 6 | 6-21 | 3 |
| ბორჯომი | 7 | 0 | 2 | 5 | 5-19 | 2 |

**90-წლიანები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 8 | 7 | 1 | 0 | 36-5 | 22 |
| დინამო (თბ) | 8 | 7 | 0 | 1 | 31-6 | 21 |
| თბილისი | 8 | 6 | 1 | 1 | 28-8 | 19 |
| დინამო (ბთ) | 8 | 5 | 0 | 3 | 13-8 | 15 |
| ამერი | 8 | 4 | 1 | 3 | 17-11 | 13 |
| სპარტაკი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| კოლხეთი1913 | 8 | 4 | 1 | 3 | 11-12 | 13 |
| ზესტაფონი | 8 | 4 | 0 | 4 | 24-18 | 12 |
| დინამო(სხ) | 6 | 3 | 3 | 0 | 15-2 | 12 |
| სიონი | 7 | 3 | 1 | 3 | 13-16 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 2 | 2 | 4 | 15-15 | 8 |
| კახეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-21 | 7 |
| ტორპედო | 8 | 1 | 3 | 4 | 9-18 | 6 |
| ცხინვალი | 8 | 1 | 0 | 7 | 5-26 | 3 |
| ბორჯომი | 8 | 1 | 0 | 7 | 3-42 | 3 |
| დილა | 7 | 0 | 1 | 6 | 5-27 | 1 |

**91-წლიანები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (ბთ) | 8 | 6 | 1 | 1 | 25-8 | 18 |
| კოლხეთი1913 | 8 | 6 | 1 | 1 | 24-8 | 19 |
| დინამო (თბ) | 8 | 5 | 2 | 1 | 25-9 | 17 |
| სპარტაკი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-3 | 17 |
| დინამო (სხ) | 7 | 5 | 1 | 1 | 25-3 | 16 |
| ტორპედო | 8 | 5 | 1 | 2 | 13-13 | 16 |
| თბილისი | 8 | 4 | 3 | 1 | 38-4 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 2 | 3 | 12-10 | 9 |
| ამერი | 8 | 2 | 3 | 3 | 12-10 | 9 |
| კახეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 12-13 | 8 |
| ლოკომოტივი | 7 | 2 | 1 | 4 | 12-19 | 7 |
| დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 12-11 | 7 |
| ცხინვალი | 8 | 2 | 1 | 5 | 11-22 | 7 |
| ზესტაფონი | 8 | 2 | 0 | 6 | 15-26 | 6 |
| სიონი | 8 | 0 | 1 | 7 | 5-36 | 1 |
| ბორჯომი | 8 | 0 | 0 | 8 | 2-60 | 0 |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „სამეფო კლუბმა“ „გამოიღვიძა“

გაიმართა ევროპის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი წრის ბოლო ტურის მატჩები. გულშემატკიართა დიდ ინტერესს იწვევდა შეხვედრა **A ჯგუფში** მიუნხენის „ბაიერნსა“ და ტურინის „იუვენტუსს“ შორის. გერმანულმა კლუბმა ბრწყინვალედ ითამაშა, განსაკუთრებით, პირველ ნახევარში. 32-ე წუთზე დაისლერმა დააწინაურა „ბაიერნი“, 7 წუთის შემდეგ კი დემიკელისმა მეორედ აიღო სტუ-



მართა კარი. იტალიის ჩემპიონმა მხოლოდ შეხვედრის უკანასკნელ წუთზე მოახერხა ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა. „ბაიერნმა“ 2-1 იმარჯვა და ჯგუფში ქულათა მაქსიმუმით დაწინაურდა.

**გუნდების შემადგენლობა.**

**„ბაიერნი“:** კანი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლიზარაზუ (შვაინშტაიგერი, 30), დაისლერი, დემიკელისი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, სანტა კრუსი (შოლი, 88).

**„იუვენტუსი“:** აბიატი, ბლაზი (კიელინი, 46), ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი (დელ პიერო, 46), ემერსონი, ჯანიკედა, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე (მუტუ, 68).

ამავე ჯგუფში პირველი გამარჯვება იზეიმა ბელგიურმა „ბრიუგემ“, რომელმაც სტუმრად აჯობა ვენის „რაპიდს“ — 1-0.

**B ჯგუფში** ლონდონის „არსენალმა“ ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო. ამჯერად სტუმრად წარმატების არავითარ შანსი არ დაუტოვა ჩეხურ „სპარტას“ — 2-0.



**„არსენალი“:** ლემანი, კლიში, კიგანი, ლორენი, ტურე, ფაბრეგასი (აბეიე, 89), ფლამინი, პირესი, რეიესი (ანრი, 15), სილვა, ვან პერსი (ებოიე, 73).

ჰოლანდიურმა „აიაქსმა“ ანასტასიუს მიერ გატანილი ორი ბურთის წყალობით 2-0 სძლია შვეიცარიულ „თუნს“.

**C ჯგუფში** გამართული ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა. ბურთი არ გასულა ბერძნული „პანათინაიკოსისა“ და ესპანური „ბარსელონას“ შეხვედრაში.

**ესპანეთის ჩემპიონი** ამ შეხვედრაში ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, მარკესი, დეკუ, ვან ბომელი (მოტა, 56), ვან ბრონკჰორსტი, ხავი (ინიესტა, 76), ეტო'ო, ლარსონი (მესი, 67), რონალდინიო.

ბრემენის „ვერდერი“ სტუმრად „უდინეზესთან“ დაწინაურდა, ისიც, იტალიელი ფელიპეს ავტოგოლის წყალობით. თანაგუნდელის შეცდომა დი ნატალემ გამოასწორა შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე.

**D ჯგუფშიც** გაინაწილეს ქულები თანაბრად მეტოქეებმა. ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედმა“ საკუთარ მოედანზე ვერ მოახერხა ფრანგული „ლილის“ კარის დალაშქვრა, მაგრამ არც თავად მიუღია ბურთი.

**„მანჩესტერ იუნაიტედი“:** ვან დერ საარი, ბარდსლი, ფერდინანდი, ოში, სილვესტრი, ფლეტჩერი, გიგზი (პარკი, 83), რონალდო, სქოულზი, სმიტი, ვან ნისტელროი.

1-1 — ასეთი შედეგი დაფიქსირდა „ვილიარეალი“ — „ბენფიკას“ შეხვედრაში. მასპინძლები 73-ე წუთზე დაწინაურდნენ, როცა რიკელმემ ზუსტად შეასრულა „ბენფიკას“ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი, თუმცა, ამ უპირატესობის შენარჩუნება „ვილიარეალმა“ ბოლომდე ვერ მოახერხა, — 4 წუთში ფერნანდესმა საპასუხო ბურთი გაიტანა.

**E ჯგუფში** დრამატულად წარიმართა „ფენერბახჩესა“ და „შალკეს“ დაპირისპირება. თურქული კლუბი, რომელიც მასპინძელი იყო, მე-14 წუთზე ლუსიანოს მიერ გატანილი ბურთით დაწინაურდა. მეორე ნახევრის დაწყებიდან 10 წუთი იყო გასული, როცა ლინკოლნმა წონასწორობა აღადგინა. მანვე 62-ე წუთზე დააწინაურა კიდეც „შალკე“, რასაც მარიო ნობრეს საპასუხო ბურთი მოჰყვა. „შალკე“ კიდევ ერთხელ გავიდა წინ ამ შეხვედრაში კურანის გოლის წყალობით, თუმცა, „ფენერბახჩემ“ მაინც შეძლო შეხვედრის ფრედ დასრულება — 3-3.

**ამ შეხვედრაში „შალკე“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა:** როსტი, რაფინია, ბორდონი, როდრიგესი, კრსტაიჩი, პოულსენი, ალთინთოფი, კობიაშვილი, ლინკოლნი, ლარსენი, სანდი (კურანი, 46).

ასევე ფრედ 0-0 დასრულდა „მილანისა“ და პსვ „ეინდჰოვენის“ მატჩი. კახი კალაძემ 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

**„მილანი“:** დიდა, კაფუ, სტამი, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ზეედორფი (სერჯინიო, 74), კაკა, ვიერი, შევჩენკო (ინძაგი (49).

**F ჯგუფში** მესამე თამაში მოიგო საფრანგეთის „ლიონმა“, ამჯერად ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან“ — 2-1. მადრიდის „რეალი“ საკუთარ მოედანზე 0-1 აგებდა პირველი ნახევრის შემდეგ, მაგრამ მეორე ტაიმში ვუდგეიტმა, რაულმა, ელგერამ და ბექჰემმა ოთხი ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში — 4-1.

**რეალი:** კასილიასი, დიოგო, ვუდგეიტი (მეხია, 85), ელგერა, რობერტო კარლოსი, ბექჰემი, ზიდანი (გრავესენი, 70), პაბლო გარსია, ბაპტისტა (გუტი, 46), რაული, რობინიო.

**G ჯგუფში** ინგლისურმა კლუბებმა იმარჯვეს. ლონდონის „ჩელსიმ“ საკუთარ მოედანზე ესპანური „ბეტისი“ გაანადგურა — 4-0. ბურთები გაიტანეს დროგბამ, რიკარდო კარვალიუმ, ჯო კოულმა და კრესპომ.

**„ჩელსი“:** კუდიჩინი, გალასი, რიკარდო კარვალიუ, ტერი, დელ ორნო, მაკელელე (დიარა, 76), ჯ. კოული, ლემპარდი, ესიენი, რაიტ-ფილიპსი (გუდიონსენი, 67), დროგბა (კრესპო, 46).

ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების გამარჯვებულმა „ლივერპულმა“ სტუმრად მინიმალური ანგარიშით 1-0 სძლია ბელგიურ „ანდერლეხტს“. ეს ერთადერთი ბურთი შეხვედრის მე-20 წუთზე სისემ გაიტანა.

**„ლივერპული“:** რეინა, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე, ჰამანი, ლუის გარსია, ალონსო, როსე (უორნოკი, 88), სისოკო (ზენდენი, 81), სისე (კიუელი, 74).

**H ჯგუფში** დებიუტანტმა „არტმედიამ“ შეძლო ქულის აღება გლაზგოში ადგილობრივ „რეინჯერსთან“ შეხვედრაში. „პორტუმ“ კი საკუთარ მოედანზე 2-0 დაამარცხა „ინტერი“.



**ტექნიკური შედეგები:**

**A ჯგუფი**

**ბაიერნი — იუვენტუსი 2-1**

**გოლები:** 1-0 დაისლერი (32), 2-0 დემიკელისი (39), 2-1 იბრაჰიმოვიჩი (90).

**რაპიდი — ბრიუგე 0-1**

**გოლი:** 0-1 ბალაბანი (75).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 4-1 | 9 |
| იუვენტუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| ბრიუგე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| რაპიდი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |

**B ჯგუფი**

**აიაქსი- თუნი 2-0**

**გოლები:** 1-0 ანასტასიუ (36), 2-0 ანასტასიუ (55).

**სპარტა — არსენალი 0-2**

**გოლები:** 0-1 ანრი (21), 0-2 ანრი (74).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| აიაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| თუნი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| სპარტა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

**C ჯგუფი**

**პანათინაიკოსი — ბარსელონა 0-0**

**უდინეზე — ვერდერი 1-1**

**გოლები:** 0-1 ფელიპე (64- საკ. კარში), 1-1 დი ნატალე (86).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| პანათინაიკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| ვერდერი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

**D ჯგუფი**

**ვილიარეალი — ბენფიკა 1-1**

**გოლები:** 1-0 რიკელმე (73-პ), 1-1 მანუელ ფერნანდესი (77).

**მანჩესტერი — ლილი 0-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| ბენფიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| ვილიარეალი | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| ლილი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |

**E ჯგუფი**

**ფენერბახჩე — შალკე 3-3**

**გოლები:** 1-0 ფაბიო ლუსიანო (14), 1-1 ლინკოლნი (59), 1-2 ლინკოლნი (62), 2-2 მარსიო ნობრე (73), 2-3 კურანი (77), 3-3 აპია (80).

**მილანი — პსვ ეინდჰოვენი 0-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| ფენერბახჩე | 3 | 1 | 1 | 1 | 7-6 | 4 |
| ეინდჰოვენი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-3 | 4 |
| შალკე | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |

**F ჯგუფი**

**ლიონი — ოლიმპიაკოსი 2-1**

**გოლები:** 1-0 ჟუნინიო (4), 1-1 კაფესი (84), 2-1 გოვუ (89).

**რეალი — რუსენბორგი 4-1**

**გოლები:** 0-1 სტრანდი (40), 1-1 ვუდგეიტი (50), 2-1 რაული (53), 3-1 ივან ელგერა (68), 4-1 ბექჰემი (82).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| რუსენბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-7 | 0 |

**G ჯგუფი**

**ანდერლეხტი — ლივერპული 0-1**

**გოლი:** 0-1 სისე (20).

**ჩელსი — ბეტისი 4-0**

**გოლები:** 1-0 დროგბა (24), 2-0 რიკარდო კარვალიუ (44), 3-0 ჯ. კოული (59), 4-0 კრესპო (65).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| ბეტისი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| ანდერლეხტი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-3 | 0 |

**H ჯგუფი**

**პორტუ — ინტერი 2-0**

**გოლები:** 1-0 მატერაცი (22-საკ კარში), 2-0 მაკარტი (35).

**რეინჯერსი — არტმედია 0-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 2-2 | 6 |
| არტმედია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| რეინჯერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| პორტუ | 3 | 1 | 0 | 2 | 6-6 | 3 |

## ტიერი ანრის რეკორდი

ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ჩეხეთის „სპარტასთან“ ლონდონის „არსენალის“ ფორვარდმა ტიერი ანრიმ ორი ბურთი გაიტანა, რის შედეგადაც მისი შედეგიანობა ვენგერის გუნდის შემადგენლობაში უკვე 186 გოლით გამოიხატება. ამით ანრიმ „არსენალის“ ლეგენდარული ფეხბურთელის იან რაიტის რეკორდი დაამხო.



„ბედნიერი ვარ, რომ რაიტის რეკორდი მოვხსენი. ის დიდი ფეხბურთელი იყო. რაიტზე უფრო მაღალი შედეგის ჩვენება ჩემთვის ამიტომაც არის ძალზე სასიამოვნო. მინდოდა რეკორდი შინ, ლონდონში დამემყარებინა, მაგრამ პრაღის სტადიონზე შანსი მომეცა და ის მე გამოვიყენე“, — ამბობს ტიერი ანრი.

„ტიერი ანრი ალამაზებს „არსენალის“ ისტორიას. „სპარტას“ კარში გატანილი პირველი ბურთი ულამაზესი იყო. მოხარული ვარ, რომ ანრიმ რაიტის რეკორდი მოხსნა“, — ასეთი შეფასება მისცა შეგირდს ლონდონური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა. საინტერესოა, რომ ვენგერის ამჟამინდელი პრობლემა ანრისთან კონტრაქტის გაგრძელებაა. ამას თავად ფეხბურთელი არ ჩქარობს.

„სჯობს ახალ კონტრაქტზე სეზონის მიწურულს ვისაუბროთ. ახლა ჩემი ყურადღება თამაშისკენ არის მიმართული, — თქვა „არსენალის“ ფორვარდმა, — ჩემი მთავარი ამოცანაა, მოედანზე საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა“.

ისევ ანრის რეკორდს დავუბრუნდეთ.

ლეგენდარული იან რაიტი „არსენალის“ ღირსებას 1991-1998 წლებში იცავდა და ამ ხნის განმავლობაში მეტოქეთა კარი 185-ჯერ აიღო. ფრანგი ფეხბურთელი ტიერი ანრი კი ლონდონურ კლუბში 1999 წელს გამოჩნდა და მის ანგარიშზე უკვე 186 ბურთია გატანილი.

სტატისტიკა მის სტაბილურ თამაშზე მიუთითებს. ბოლო ოთხი სეზონიდან, სამ მათგანში საუკეთესო ბომბარდირი გახდა. საინტერესოა, რომ „არსენალში“ ანრი ჰავბეკად მივიდა და მწვრთნელმა ვენგერმა თავდამსხმელად რომ გაამწესა, არ მოეწონა. თავიდან ფრანგი ლეგიონერი არცთუ ძალიან ბრწყინავდა, მაგრამ შემდეგ...

ტიერი ანრის ახასიათებს სისწრაფე, მაღალი ტექნიკა, თვისება — ფლანგზე გააბითუროს მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშე და სწრაფად შეიჭრას საჯარიმო მოედანზე, და რაც მთავარია — ბურთის გატანის ალღო.

უნდა ითქვას, რომ ლონდონის „არსენალის“ მიერ ბოლო წლებში მიღწეული წარმატებები ანრის ბრწყინვალე თამაშის „ბრალია“. ასეთი ფორვარდი „არსენალს“ იან რაიტის გარდა არასდროს ჰყოლია.

არსენ ვენგერი დარწმუნებულია, რომ ტიერი ანრი კიდევ ბევრჯერ გაახარებს გულშემატკივრებს ბურთების გატანით.

## ლუშემბურგო: „თამაშში გარდატეხა გუტიმ შეიტანა“

**„რუსენბორგთან“ გამარჯვების შემდეგ მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ შეხვედრაში გარდატეხა შეცვლაზე შემოსულმა გუტიმ შეიტანა.**

**„პირველ ნახევარში ჩემი შეგირდების თამაში აშკარად არ მომეწონა. როცა მოედანზე გუტი შევიდა, ყველაფერი მერე შეიცვალა. „რეალი“ ათამაშდა და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა“, — თქვა ლუშემბურგომ.**



## ფრანგი გოგონა კრისტიან რონალდოს ადანაშაულებს

ინგლისის საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი კრისტიან რონალდო ოთხშაბათს სამართალდამცავებმა დააკავეს. ჟურნალი „სანი“ იტყობინება, რომ პოლიციას მიმართა საფრანგეთის მოქალაქე გოგონამ. მისი განცხადებით, 2 ოქტომბერს თავის მეგობარ გოგონასთან ერთად ლონდონის ერთ-ერთ ბარში გაიცნო კრისტიან რონალდო და ამ უკანასკნელის ნათესავი. შემდეგ ახალგაზრდული კამპანია ოტელ „სანდერსონში“ გაემართა, სადაც ერთ ნომერში მოილხინეს. გოგონების თქმით, ფეხბურთელმა და მისმა ნათესავმა ძალა იხმარეს... გოგონებს შემდეგ საავადმყოფოსთვის მიუმართიათ. რონალდომ პოლიციის უბანში რამდენიმე საათი გაატარა და შემდეგ თავდებით გაათავისუფლეს. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთელი პოლიციაში თავად გამოცხადებულა და უარყო ფრანგი მოქალაქის ბრალდება. გამოძიება გრძელდება.

## მამას მიუძღვნა

**ლონდონის „ჩელსის“ ნახევარმცველმა ჯო კოულმა განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „ბეტისთან“ გატანილი ბურთი მიუძღვნა მამას, რომელიც გულის შეტევის გამო მოათავსეს საავადმყოფოში.**

**„მამაჩემის მდგომარეობა სტაბილურია. ის კი არა, ტელევიზორითაც უცქერა „ჩელსი“ — „ბეტისის“ შეხვედრას. მინდა ჩემს მშობელს ვუსურვო მალე გამოჯანმრთელება“, — თქვა კოულმა.**



## კარლო ანჩელოტი: „პსვ-ს გაუმართლა“



პსვ „ეინდჰოვენთან“ საშინაო მატჩის ფრედ დასრულების (0-0) შემდეგ „მილანის“ მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ პრესკონფერენციაზე აღნიშნა: „ჩვენ სრულად ვაკონტროლებდით თამაშს, ჰოლანდიური კლუბის ფეხბურთელები მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდნენ, პსვ-ს გოლკიპერმაც ძალიან კარგად ითამაშა. სტუმრებს აშკარად გაუმართლათ. ოპტიმისტურად შევყურებ განმეორებით შეხვედრას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენოქს ლიუისი: „მე კრივიდან ღირსეულად, დროულად წავედი“



ლეგენდარული პროფესიონალი მოკრივე ლენოქს ლიუისი უკრაინის დედაქალაქს ეწვია. მან ჟურნალისტებისათვის კიევში პრესკონფერენცია მოაწყო. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს საინტერესო კითხვა დაუსვა: „თქვენ კრივიდან დაუმარცხებელი წახვედით, არ გქონდათ სურვილი კიდევ გებრძოლათ ვიტალი კლიჩკოსთან, რათა საკუთარი სიძლიერე დაგემტკიცებინათ და საზოგადოებაში არსებული ეჭვი გაგეფანტათ?“ ლიუისმა განაცხადა: „მე საჭიროდ არ ჩავთვალე ვინმესთვის მეჩვენებინა, რომ კლიჩკოზე ძლიერი ვარ. მე მივიღე გადაწყვეტილება, დამესრულებინა მოკრივის კარიერა... როცა საკუთარი ძალების „გაფურჩქვნის“ პერიოდში ხარ, ნებისმიერ მეტოქესთან ბრძოლა იოლია, მაგრამ, როცა ძალები გეცლება, აზრი არ აქვს კარიერის გაგრძელებას, მით უმეტეს, რომ სასწორზე ჩემპიონის ტიტული დევს. ასეთ შემთხვევაში უმჯობესი სპორტიდან დროულად წახვიდე“...

◆ ***რატომ არ წავიდნენ „თავის დროზე“ ისეთი მოკრივეები, როგორებიც არიან ჰოლიფილდი, მაკოლი, დემპსი?***

— ფულის გამო. თავის დროზე საკმაო თანხა გამოვიმუშავე, ამიტომ რისკზე წასვლა აღარ ვარჩიე.

◆ ***ნოსტალგია არ მოგძალებიათ?***

— როგორა არა. ზოგჯერ მეგობრები მაკავებდნენ, რათა რინგზე არ გამოვსულიყავი. კრივის მონატრებამ, შესაძლოა სამწვრთნელო კარიერის დაწყებამდე მიმიყვანოს.

# «ბრიჯსტოუნი» აღიარებს...



ცნობილია, რომ „ფერარის“ პარტნიორი არის საბურავების კომპანია „ბრიჯსტოუნი“. ბოლო სეზონში „ფერარის“ წარუმატებლობაში გარკვეული წვლილი სწორედ „ბრიჯსტოუნსაც“ მიუძღვის და ეს კომპანიამ აღიარა კიდეც.

„უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ დიდი როლი ვითამაშეთ „ფერარის“ გამარჯვებებში. „ბრიჯსტოუნი“ არაფრით ჩამოუვარდება კომპანია „მიშლენს“. ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა დიდების მწვერვალზე დასაბრუნებლად, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებების მოპოვება შეუძლებელია“, — განაცხადა „ბრიჯსტოუნის“ წარმომადგენელმა ხიროხიდე ჰამასიმამ.

# ვესელინ ტოპალოვი: „კასპაროვთან შეხვედრა საინტერესო იქნებოდა“



ცნობილია, რომ არგენტინის ქალაქ სან-ლუისში გამართული მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა მოიგო. გთავაზობთ ტოპალოვის მიერ „სპორტ-ექსპრესისათვის“ მიცემულ ინტერვიუს.

◆ ***სად და როგორ ემზადებოდით მსოფლიო ჩემპიონატისათვის?***

— თავდაპირველად 10 დღის განმავლობაში ვისვენებდი ვარნაში, ზღვის სანაპიროზე. მზადება კურორტ ველინგრადში დავიწყე. გარდა იმისა, რომ საჭადრაკო დაფაზე თეორიებს ვამუშავებდი, ყოველდღიურად საათნახევარს ვატარებდი სატრენაჟორო დარბაზში, 5 კილომეტრს გავრბოდი, შემდეგ მასაჟი, აუზი, დასვენება და ისევ ჭადრაკი...

◆ ***შეჯიბრების დაწყებამდე ვის თვლიდით ფავორიტად?***

— ვფიქრობდი, რომ პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად ჩემსა და ვიშვანათან ანანდს შორის გაიმართებოდა.

◆ ***პირველი წრე ფანტასტიკურად განვლეთ — 7 პარტიაში 6 გამარჯვება იზეიმეთ!***

— მართლაც რომ კარგად ვითამაშე — საკუთარი ძალა ვირწმუნე. პირველი წრის შემდეგ ისეთი სხვაობით ჩამოვიტოვე მდევრები, რომ დარჩენილ პარტიებში მთავარი იყო არ დავმარცხებულიყავი... შემეძლო გამარჯვებათა სერია მეორე წრეშიც გამეგრძელებინა, მაგრამ ჩემი აქტიურობა „გაანელა“ ლეკოსთან და ანანდთან გამართულმა პარტიებმა. მეორე წრის ეს პირველი ორი შეხვედრა ისე სწრაფად დასრულდა ყაიმით, რომ მათში ბრძოლა, ფაქტობრივად, არ ყოფილა. ანანდმა მეთხუთმეტე სვლიდან პოზიციის გამეორება დაიწყო... მიუხედავად იმისა, რომ ინდოელთან გამართული პარტია ხანმოკლე გამოდგა, ვთვლი, რომ მას დიდი ფსიქოლოგიური ხასიათი ჰქონდა. სწორედ ამის შემდეგ „ამენთო“ „მწვანე შუქი“ ჩემპიონის ტიტულისაკენ.

◆ ***დაასახელეთ ის დიდი მოჭადრაკეები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს თქვენს შემოქმედებაზე...***

— ყოველთვის მომწონდა პოლ მორფი, ალექსანდრე ალიოხინი და, რაღა თქმა უნდა, გარი კასპაროვი. ბევრი ჩემი თამაშის სტილს კასპაროვისას ადარებს. გარი კასპაროვთან მითამაშია. გამარჯვებების რაოდენობით მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი მჯობნის, თუმცა, მე ვარ ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი მოჭადრაკეებიდან, რომელმაც შევძელი კასპაროვის დამარცხება და თანაც, არა მხოლოდ ერთხელ.

◆ ***წელს მოიგეთ ლინარესის, სოფიისა და სან-ლუისის ტურნირები. თვლით თუ არა, რომ ახლა კასპაროვთან უფრო წარმატებით შეგიძლიათ თამაში?***

— არ ვიცი, როგორ ფორმაშია გარი კასპაროვი. ის კი ვიცი, რომ მას ჭადრაკისთვის თავი არ დაუნებებია — კვლავაც ვარჯიშობს და არც მწვრთნელთა ბრიგადა დაუთხოვია. ჩემთვის მეტად საინტერესო იქნებოდა შეხვედრა ისეთ დიდ მოჭადრაკესთან, როგორიც გარი კასპაროვია. ვერ გეტყვით, შევძლებ თუ არა მის დამარცხებას, ის კი ვიცი, რომ კასპაროვთან თანასწორად ვიბრძოლებ.

◆ ***ვლადიმირ კრამნიკზე რას იტყვით?***

— არც მასთან იქნებოდა თამაში უინტერესო.

◆ ***დავუშვათ კასპაროვმაც და კრამნიკმაც გამოთქვეს თქვენთან შეხვედრის სურვილი. რომელს აირჩევდით მეტოქედ?***

— ალბათ, გარი კასპაროვს.

# მსოფლიო ჩემპიონატები – ორ წელიწადში ერთხელ



ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ ამიერიდან ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონატები ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდება. ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა განაცხადა, რომ მომდევნო ჩემპიონატი 2007 წლის სექტემბერ-ოქტომბრისთვის არის დანიშნული. მასში სან-ლუისში გამართული ტურნირის პირველ-მეოთხე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები ავტომატურად დაიშვებიან. მათ დაემატებათ კიდევ ოთხი მოჭადრაკე, რომელთა ვინაობას მსოფლიო თასის გათამაშება და შესარჩევი ტურნირი გამოავლენს.

# მალეევა ჩოგბურთს გამოეთხოვა

ციურიხში ვტა-ს საჩოგბურთო ტურნირის მეორე წრეში გამართული შეხვედრა პატი შნაიდერთან უკანასკნელი გამოდგა ბულგარელი მაგდალენა მალეევასათვის. ეს უკანასკნელი 3:6, 2:6 დამარცხდა, შემდეგ კი, 30 წლის მალეევა მაყურებლებს გამოეთხოვა.

„კორტზე გატარებული ყოველი წამი ჩემთვის სასიამოვნო იყო. მინდა მადლობა გადავუხადო გულშემატკივრებს, რომლებიც წლების განმავლობაში მხარს მიჭერდნენ“, — თქვა მალეევამ. იგი 1989 წლიდან თამაშობდა დიდ ჩოგბურთს და თავისი კარიერის განმავლობაში 10 ტურნირი მოიგო.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**21 ოქტომბერი, პარასკევი**

*НТВ плюс спорт.* „ჰარმონიის ფორმულა“ (10.25), ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს“ მადრიდში (11.30). ატპ-ს საჩოგბურთო მიმოხილვა (14.00). „ექსი-ექსზე“, გადაცემა ფრენბურთზე (14.30). ბეისბოლი (15.00). ტაილანდური კრივი (16.45). ჭადრაკი. საერთაშორისო ტურნირი მოსკოვში „გოლდენ ბლიცი“ (17.45). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „აილენდერსი“ — „რეინჯერსი“ (18.45). ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ტურნირი „სქეით ამერიკა“ (21.45). „ბურთი და ფარი“ (22.30). „ნოკაუტი“ (0.30). ფიგურული სრიალი (1.00). *НТВ плюс online* ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს“ მადრიდში (16.00). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „დეტროიტი“ — ანაჰაიმი“. EUROSPORT. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.30). ფეხბურთი. უეფას თასის გათამაშების მიმოხილვა (11.00). ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (13.30). საუკეთესო 24 კლუბი (20.30). ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი ციურიხში (21.00). ექსტრემალური სპორტი (1.00). ევროსპორტის ახალი ამბები (2.00).

**22 ოქტომბერი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგის მატჩების მიმოხილვა (18.20). **მზე.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (15.45, 18.00). *НТВ плюс спорт.* ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ტურნირი „სქეით ამერიკა“ (8.30). „სპორტული გლობუსი“ (12.00). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „დეტროიტი“ — „ანაჰაიმი“ (13.15). სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი გერმანიაში. ქალები (15.30), ამერიკული ფეხბურთი (17.15). „დიდი რინგი“ (19.30). სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი (21.30). ფიგურული სრიალი (22.30). *НТВ плюс online.* სათხილამურო სპორტი (11.30). ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს“ მადრიდში (22.00). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი (3.30). EUROSPORT. მოტოსპორტი. თურქეთის გრან პრი (7.45). ექსტრემალური სპორტი (10.30). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.00). ფეხბურთი. უეფას თასისა და ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (11.30). ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი ციურიხში (17.15). სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშება (18.30). საპლაჟო ფრენბურთი (19.30). მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო თასი (20.30). საბრძოლო ხელოვნება (22.00). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.30). ექსტრემალური სპორტი (1.00).

**23 ოქტომბერი. კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. მზე.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (16.30). *НТВ плюс спорт.* ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ტურნირი „სქეით ამერიკა“ (8.45). ბეისბოლი. მლბ-ის ჩემპიონატი (10.25). სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი ავსტრიაში (14.30). ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი (16.50). ფრენბურთი (19.30). საჭადრაკო მიმოხილვა (21.30). ფიგურული სრიალი (22.00). ტაილანდური კრივი (1.00). ბეისბოლი (5.00). *НТВ плюс online.* სათხილამურო სპორტი (11.40). ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს“ მადრიდში (17.30). ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (20.55). EUROSPORT. მოტოსპორტი. თურქეთის გრან პრი (9.15). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.15). ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი ციურიხში (16.00). მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17.30). სათხილამურო სპორტი (19.00). საპლაჟო ფრენბურთი (20.00). ავტოსპორტი. მსოფლიო სერია (22.30). ოლიმპიური თამაშები. ტურინის გზაზე (1.45), კრივი (2.30).

# კროსვორდი

**თარაზულად:** 3. ვეტერანი სოხუმელი ძალოსანი, რუსლან ... 6. პროფესიონალი მოკრივე, 8. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 10. ოლიმპიური პრიზიორი ქართველი მძლეოსანი ქალი, 11. წარსულში ცნობილი ფერადკანიანი პროფესიონალი მოკრივე (აშშ), მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი (1937), 14. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 16. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 17. თბილისის „დინამოს“ ვეტერანი კალათბურთელი, 21. ჭადრაკში ცნობილი დაცვის სახელწოდება, 23. ცნობილი მოჭადრაკე ქართველი ქალი, 24. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 25. ფეხბურთელ გომეშის სახელი, 26. „იუვენტუსის“ ყოფილი მწვრთნელი.

**შვეულად:** 1. ფეხბურთში მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი ქვეყანა, 2. ლეგენდარული რუსი (საბჭოთა) მარათონელი, 4. მსოფლიო 1991 წლის ჩემპიონი ქალი 100 და 200 მ. რბენაში კატრინ... 5. ცნობილი პოლონელი ვეტერანი ფეხბურთელი, გჟეგოჟ ... 7. „ლივერპულის“ ყოფილი მწვრთნელი, 9. შუშაკის სახელი, 12. სოხუმის საკალათბურთო გუნდი (შემოკლებით), 13. 2004 წლის ოლიმპიადის პრიზიორი ქართველი ძიუდოისტი, 15. ცნობილი ქართველი საჩოგბურთო მწვრთნელი, გურამ ... 18. მძლეოსნობაში წინაღობა ბილიკზე, 19. ცნობილი ვეტერანი ჩოგბურთელი ბიორნ ... 20. ბერძნების ძველი სახელი, 22. ცნობილი იაპონელი ფეხბურთელი, მს. ჩემპიონატის (1998) მონაწილე, 23. რაიონი საქართველოში, რომელსაც ჰყავდა საფეხბურთო გუნდი „მზიური“.




მოამზადა ნოდარ ჯავახაძემ.

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. კრატასიუკი, 9. ფანდი, 10. დიმასი, 11. ალე, 13. ვალდანო, 14. ქაირო, 16. დრო, 17. მეკლდეური, 22. ტოპალოვი, 23. ბლოხინი, 24. ალაზანი, 25. დილა, 26. ირაო.

**შვეულად:** 2. რამსეი, 3. ტოსტაო, 4. ისა, 5. „კიევო“, 6. ინსაიდი, 7. ჯირო, 8. ოდა, 9. ფული, 12. ალბერვილი, 14. ქარტია, 15. მერლანი, 18. „რუხი“, 19. იპონი, 20. ელო, 21. უნცია.

## საჭადრაკო ამოცანა

ვ. ბირი

(„ფიგარო“, 1879 წ.)




შამათი 2 სვლაში

№81-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. კg6!

1. ...... მფd3 2. ლc2+!; 1. ...... მფd5 2. მe7+; 1. ...... b5 2. კf7+; 1. ...... მ--- 2. მe3+....

# დაფინანსება შეუმცირა...

იმის გამო, რომ კომპანია „ფიატს“ ბოლო პერიოდში ფინანსური პრობლემები შეექმნა, „ფერარის“ ბიუჯეტი 50-60 მილიონი დოლარით შემცირდა. გუნდის ხელმძღვანელმა ჟან ტოდტმა აღნიშნა, რომ სრულიად საკმარისად არის თანხები იმისათვის, რათა „ფერარიმ“ ნორმალურად იასპარეზოს „ფორმულა-1“-ის ჩემპიონატებში.

# დროშამ დედამიწას 70-ჯერ „შემოუფრინა“

2008 წლის ოლიმპიური თამაშების დროშამ კოსმოსურ ხომალდ „შენჩჟოუს“ საშუალებით დედამიწას 70-ჯერ „შემოუფრინა“. დედამიწაზე დაბრუნებული კაპსულა დროშით ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს გადასცეს.

ოლიმპიადის სიმბოლიკის დედამიწის ორბიტაზე გაგზავნის იდეა ეკუთვნის სოკ-ის პრეზიდენტს ჟაკ როგის. მისი აზრით, ამ ნაბიჯმა უნდა დაანახვოს მსოფლიო საზოგადოებას, რომ ჩინეთს საკუთარი წვლილი შეაქვს ოლიმპიური იდეალების პროპაგანდაში.

2008 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ლიუ ცზინმინმა განაცხადა, რომ კოსმოსური ხომალდის „შენჩჟოუ-6“-ის ისტორიული გაშვება ახალ სულს შთაბერავს ჩინეთს ოლიმპიური თამაშების უმაღლეს დონეზე ჩატარებისაკენ.

# ხორვატი ვარსკვლავები ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ

ხორვატიული კალათბურთის ვარსკლავები ქვეყნის სპორტის ამ სახეობის ფედერაციის პრეზიდენტის დანკო რადიჩის წინააღმდეგ ერთიანდებიან. ვარსკვლავები რადიჩის ადანაშაულებენ ბოლო წლებში არამართებულ პოლიტიკაში. ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ დარაზმულთა შორის არიან ფრანო არაპოვიჩი, დინო რაჯა, სტოიან ვრანკოვიჩი, ალექსანდრ პეტროვიჩი, არიან კომაზეცი და სხვები.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com